ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

Konrad
Adenauer
Stiftung

სამოქალაქო საზოგადოება

მცირე და საშუალო ბიზნესის და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის მხარდასაჭერად

EPRC

EPRC
European Public Relations Center
Georgian Public Relations Center
Georgian Public Relations Center

ევროკავშირი
საქართველოსთვის
The European Union for Georgia

Konrad
Adenauer
Stiftung

EPRC

სამოქალაქო საზოგადოება

მცირე და საშუალო ბიზნესის და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის მხარდასაჭერად

სახელმძღვანელო

პუბლიკაციაზე მუშაობდნენ:

ანი ახალკაცი
ირინა გურული
ვლადიმერ უგულავა
თამარ ხორბალაძე

დიზაინი:
IBDesign

პროექტს ახორციელებს კონრად ადენაუერის ფონდი ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრთან და ასოციაცია ათინათთან თანამშრომლობით.

The project is implemented by the Konrad-Adenauer-Stiftung e.V., Economic Policy Research Center (EPRC) and Association Atinati.

„წინამდებარე პუბლიკაცია შექმნილია ევროკავშირის დახმარებით. მის შინაარსზე პასუხისმგებელია მხოლოდ ავტორთა ჯგუფი და არა კონრად ადენაუერის ფონდი საქართველოში ან მისი პარტნიორი ორგანიზაციები, პუბლიკაციის შინაარსის ევროკავშირის პოზიციად აღქმა დაუშვებელია“.

“This publication has been produced with the assistance of the European Union. Its contents are the sole responsibility of the authors and not the Konrad Adenauer Stiftung or its partners and can in no way be taken to reflect the views of the European Union”.

ISBN

სარჩევი

შესავალი 7

ნაწილი I
ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება და
ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA) 9

ინფორმაცია საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებზე,
ევროკავშირთან ინტეგრაციის პოლიტ-ეკონომიკური მნიშვნელობა 11

რა არის ასოცირების ხელშეკრულება და რას მოიცავს? 15

რა არის DCFTA? რას მოიაზრებს? რატომ არის ასოცირების ხელშეკრულება და
DCFTA მნიშვნელოვანი საქართველოსთვის? 16

რა ტიპის ვალდებულებების შესრულება მოუწევს კერძო სექტორს DCFTA-ს ფარგლებში?
როგორ აისახება ეს საზოგადოებაზე? 23

რა სარგებელს მოიტანს საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების ვალდებულებების
განხორციელება? ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური სარგებელი, სავაჭრო და
არასავაჭრო სარგებელი 24

ვინ არიან პასუხისმგებელი უწყებები ხელშეკრულების განხორციელების პროცესში? 25

როგორ გავიგოთ ვალდებულებების შესახებ მეტი ინფორმაცია?
რა საინფორმაციო რესურსი არსებობს ასოცირების ხელშეკრულების შესახებ?
რა არის ასოცირების ხელშეკრულების სამოქმედო გეგმა? 26

რა ტიპის ფინანსურ მხარდაჭერას აღუთქვამს ევროკავშირი საქართველოს?
რა ტიპის პროგრამებს აფინანსებს ევროკავშირი? როგორ ეხმარება ის სამოქალაქო
საზოგადოებას და კერძო სექტორს? 30

ნაწილი II
სამოქალაქო საზოგადოების ჩოლი 35

სამოქალაქო საზოგადოების როლი და ჩართულობის მექანიზმები –
მონიტორინგის და ადვოკატირების მიმართულებით 37

სამოქალაქო სექტორის როლი პოლიტიკის შემუშავების პროცესში 37

ადვოკატირება ევროინტეგრაციის პროცესში 40

როგორ მოვახდინოთ ადვოკატირება და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვა? 44

ჩართულობის მექანიზმები ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების დონეზე 50

კომუნიკაციის მექანიზმები გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართვისთვის 55

სამოქალაქო საზოგადოება, როგორც დამაკავშირებელი ხაზი მთავრობასა და კერძო სექტორს შორის. რა შეიძლება გაკეთდეს ამ კავშირის გასამყარებლად? 55

სამოქალაქო საზოგადოების ჩართვის მექანიზმები ასოცირების ხელშეკრულების და მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის საკითხებში; რა მექანიზმები არსებობს? როგორ გავაუმჯობესოთ ჩართულობა? 57

ნაწილი III
მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგია 2016-2020 59

მცირე და საშუალო ბიზნესი და მისი როლი ეკონომიკაში 61

მცირე და საშუალო ბიზნესი ევროპის ქვეყნებში 61

მცირე და საშუალო ბიზნესი განვითარებად ქვეყნებში 62

შესაძლებლობები და გამოწვევები, რომელსაც DCFTA მცირე და საშუალო ბიზნესისთვის იძლევა 62

რა არის მცირე და საშუალო ბიზნესის სტრაგეგია? ვინ ახორციელებს მას? რომელი უწყებები არიან ჩართულები განხორციელების პროცესში? 63

რა პრიორიტეტული მიმართულებები აქვს სტრატეგიას? 64

რომელი სახელმწიფო პროგრამები არის მიმართული მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად საქართველოში? 66

ახალი ბიზნესის წამოწყებისთვის – მიკრო და მცირე ბიზნესის კომპონენტი 69

არსებული ბიზნესის გაფართოება-გადაიარაღებისთვის – მიკრო და მცირე ბიზნესის კომპონენტი 72

სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება 73

ექსპორტის ხელშეწყობა 74

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს სერვისები 76

ტექნოპარკი 76

ინოვაციების ცენტრის სივრცითი მოწყობა და სერვისები 81

ტრენინგ-კურსები ინოვაციების ცენტრებში 83

ინოვაციური ბიზნეს პროექტების / „სტარტაპების“ დაფინანსება 84

ბიზნესინკუბატორი 85

შესავალი

ევროკავშირის პროექტს „სამოქალაქო საზოგადოება – მცირე და საშუალო ბიზნესის და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის მხარდასაჭერად“ ახორციელებენ კონრად ადენაუერის ფონდი და მისი პარტნიორი ორგანიზაციები ეკონომიკური პოლიტიკის კვლევის ცენტრი (EPRC) და ასოციაცია „ათინათი“;

პროექტის მიზანია, გააძლიეროს სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციები, გაზარდოს მათი ცოდნა ევროკავშირთან ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმებასთან (DCFTA) და საქართველოს მცირე და საშუალო მეწარმეობის (SME) განვითარების სტრატეგიასთან დაკავშირებით; ჩართოს ისინი მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებების კვლევის, ინფორმირებისა და პოლიტიკის შემუშავების პროცესებში. აღნიშნული პროექტი არის ევროკავშირის ფართო მხარდაჭერის ერთ-ერთი კომპონენტი საქართველოს მიერ თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებით აღებული ვალდებულებების შესრულების და ევროკავშირის ბაზარზე ინტეგრირების გზაზე.

პროექტის ფარგლებში, 2017-2019 წლებში ჩატარდება სხვადასხვა ფორმისა და შინაარსის აქტივობები, რომლებშიც ჩართული იქნება სულ მცირე 30 არასამთავრობო ორგანიზაცია 5 რეგიონიდან (სამეგრელო-ზემო სვანეთი, იმერეთი, ქვემო ქართლი, შიდა ქართლი, კახეთი). რეგიონული არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის ჩატარდება ტრენინგები და საკომუნიკაციო აქტივობები, მათი მონაწილეობით მომზადდება კვლევები მცირე და საშუალო ბიზნესის საჭიროებების შესახებ, ასევე გაიმართება ბიზნეს-ფორუმები მცირე და საშუალო ბიზნესის, ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლებისა და სამოქალაქო საზოგადოების მონაწილეობით.

ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულების შესახებ **ინფორმაცია მიეწოდება მცირე და საშუალო ბიზნესის მინიმუმ 2,000 წარმომადგენელს.** საქართველოს მთავრობისთვის მომზადდება საჭიროებების კვლევები და სარეკომენდაციო დოკუმენტები.

წინამდებარე პუბლიკაციის მიზანია, სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების წარმომადგენლებს მიაწოდოს ინფორმაცია შემდეგ საკითხებზე: ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება და DCFTA; სამოქალაქო საზოგადოების როლი ასოცირების ხელშეკრულების და DCFTA-ს საკითხებში პოლიტიკის შემუშავების, ადვოკატირების და მონიტორინგის მიმართულებით, მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართულებით არსებული სახელმწიფო სტრატეგია და მხარდამჭერი პროგრამები.

ნაწილი I

ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების ხელშეკრულება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის შესახებ შეთანხმება (DCFTA)

ინფორმაცია საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობებზე, ევროკავშირთან ინტეგრაციის პოლიტ-ეკონომიკური მნიშვნელობა

საქართველო-ევროკავშირის ურთიერთობები 1991-92 წლებში საბჭოთა კავშირის დაშლისა და საქართველოს დამოუკიდებელ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების შემდეგ დაიწყო.

1996 წლის 22 აპრილს ლუქსემბურგში ევროკავშირსა და საქართველოს შორის ხელი მოეწერა პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას (PCA).

1999 წლიდან პარტნიორობისა და თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების (PCA) ძალაში შესვლის შემდეგ, შეიქმნა საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ინსტიტუტები, რომელთა მიზანია PCA-ს განხორციელების ხელშეწყობა და ორმხრივი ურთიერთობებისა და პოლიტიკური დიალოგის გაღრმავება. ეს ინსტიტუტებია:

- საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის საბჭო;
- საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის კომიტეტი;
- საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი;
- საქართველო-ევროკავშირის თანამშრომლობის ქვეკომიტეტები:
  - ვაჭრობის, ეკონომიკურ და შესაბამის სამართლებრივ საკითხებზე თანამშრომლობის ქვეკომიტეტი;
  - სამართლის, თავისუფლებისა და უსაფრთხოების საკითხებზე თანამშრომლობის ქვეკომიტეტი;
  - ენერგეტიკის, გარემოს დაცვისა და ტრანსპორტის საკითხებზე თანამშრომლობის ქვეკომიტეტი;

- დასაქმების, სოციალური საკითხების, ჯანდაცვის, ტრენინგის, განათლების, ახალგაზრდობის, კულტურის, ინფორმაციის, აუდიო-ვიზუალური პოლიტიკის, მეცნიერების, ტექნოლოგიებისა და ინოვაციების საკითხებზე თანამშრომლობის ქვეკომიტეტი.

აღსანიშნავია, რომ საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო შეხვედრები დაიწყო ჯერ კიდევ 1994-1996 წლებში, თუმცა არსებული სახით საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი (PCC) ჩამოყალიბდა 1999 წლიდან. საქართველო-ევროკავშირის საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტი წარმოადგენს ევროპარლამენტსა და საქართველოს პარლამენტს შორის ურთიერთობების ძირითად ინსტიტუტს. ევროპარლამენტში შექმნილია სამხრეთ კავკასიის ქვეყნებთან ურთიერთობების დელეგაცია, რომლის წევრებიც მონაწილეობენ საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის შეხვედრებში. საპარლამენტო თანამშრომლობის კომიტეტის სხდომები იმართება წელიწადში ერთხელ, რომელზეც განიხილება ორივე მხარის ინტერესებში შემავალი ნებისმიერი საკითხი და ხდება რეკომენდაციების მიღება.

2004 წლის 14 ივნისს ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველო ჩაერთო ევროპულ სამეზობლო პოლიტიკაში, ხოლო 2006 წლის 14 ნოემბერს მიღებულ იქნა საქართველო-ევროკავშირის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის სამოქმედო გეგმა.

რუსეთ-საქართველოს 2008 წლის აგვისტოს ომის საპასუხოდ, 2008 წლის 1 სექტემბერს გაიმართა ევროპული საბჭოს საგანგებო სხდომა; 2008 წლის 15 სექტემბრის ევროკავშირის საბჭოს გადაწყვეტილებით შეიქმნა ევროკავშირის მონიტორინგის მისია (EUMM), რომელიც საქართველოში მოვლენილ იქნა 2008 წლის 1 ოქტომბრიდან.

2008 წლის 22 ოქტომბერს, ქ. ბრიუსელში ევროკავშირისა და მსოფლიო ბანკის ორგანიზებით გაიმართა დონორთა კონფერენცია, რომელზეც საქართველოსთვის გამოყოფილმა დახმარებამ 2008-2010 წლებისთვის 4.5 მილიარდი დოლარი შეადგინა.

2009 წლიდან საქართველოსა და ევროკავშირს შორის არსებული პოლიტიკური დიალოგის ფარგლებში შეიქმნა თანამშრომლობის ახალი ფორმატი – ადამიანის უფლებების დაცვის საკითხებზე დიალოგი (HRD). შეხვედრები აღნიშნული ფორმატის ფარგლებში იმართება ყოველწლიურად.

2009 წელს საქართველო ჩაერთო „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ ინიციატივაში, რომელსაც ფორმალურად საფუძველი 2009 წლის 7 მაისს პრაღის სამიტზე ჩაეყარა. საქართველო თანამშ-

რომლობს ინიციატივის, როგორც ორმხრივი, ასევე მრავალმხრივი ურთიერთობის ფორმატში. „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ მნიშვნელოვან კომპონენტს წარმოადგენს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი.

2009 წლის 30 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა „პარტნიორობა მობილურობისათვის“ ერთობლივ დეკლარაციას, ხოლო საქართველოსა და ევროკავშირს შორის თანამშრომლობა ოფიციალურად დაიწყო 2010 წლის 16 თებერვალს.

2010 წლის 17 ივნისს ქ. ბრიუსელში ხელი მოეწერა „საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ვიზების გაცემის პროცედურების გამარტივების შესახებ“ შეთანხმებას.

2010 წლის 15 ივლისს დაიწყო მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის „ასოცირების შეთანხმებაზე“, (AA) რომლის ნაწილიცაა „ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებაც” (DCFTA).

2012 წლის 28 თებერვალს ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეზე (DCFTA).

2012 წლის 4 ივნისს გაიხსნა საქართველო-ევროკავშირის დიალოგი უვიზო მიმოსვლის შესახებ, ხოლო 2013 წლის 25 თებერვალს საქართველოს ოფიციალურად გადმოეცა სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმა.

2013 წლის 28-29 ნოემბერს ქ. ვილნიუსში გაიმართა „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ რიგით მესამე სამიტი. ვილნიუსის სამიტის ფარგლებში, 29 ნოემბერს მოხდა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების პარაფირება, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის კომპონენტის ჩათვლით. „საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ამბიციური და ინოვაციური, ე.წ. „ახალი თაობის” შეთანხმებაა, რამდენადაც, მანამდე გაფორმებული მსგავსი შეთანხმებებისგან განსხვავებით, მოიცავს ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის კომპონენტს (Deep and Comprehensive Free Trade Area - DCFTA) და ითვალისწინებს ევროკავშირთან დაახლოების მნიშვნელოვან კონკრეტულ მექანიზმებს.

2014 წლის 20 თებერვალს ოფიციალურად გაიხსნა მოლაპარაკებები ევროპის ენერგეტიკულ გაერთიანებაში საქართველოს გაწევრიანების თაობაზე.

2014 წლის 26 ივნისს საქართველომ და ევროკავშირმა მიიღეს ასოცირების დღის წესრიგი, რომლის მიზანია ასოცირების შეთანხმების ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობა და წარმოადგენს ასოცირების შეთანხმებით აღებული ვალდებულებების პრიორიტეტული საკითხების სამწლიან (2014-2016) გეგმას.

2014 წლის 27 ივნისს ხელი მოეწერა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმებას, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) ჩათვლით.

2014 წლის 17 ნოემბერს, ქ. ბრიუსელში გაიმართა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების საბჭოს პირველი სხდომა. საბჭოს სხდომაზე მიღებული გადაწყვეტილებით ამოქმედდა ახალი ინსტიტუციური ჩარჩო – ასოცირების საბჭო, ასოცირების კომიტეტები და დარგობრივი ქვეკომიტეტები, რომელსაც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმება ითვალისწინებს.

2015 წლის 18 დეკემბერს ევროკომისიამ საქართველოს მიერ სავიზო რეჟიმის ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის (VLAP) შესრულების რიგით მეოთხე, საბოლოო ანგარიში გამოაქვეყნა.

2016 წლის 9 მარტს, ევროკომისიის მიერ გამოქვეყნებული საბოლოო მეოთხე ანგარიშის საფუძველზე, ევროკომისიის მიერ ინიცირებულ იქნა საკანონმდებლო პროცედურები და ევროპარლამენტსა და ევროკავშირის საბჭოს ოფიციალურად წარუდგინა საკანონმდებლო წინადადება 539/2001 რეგულაციაში ცვლილების შეტანის შესახებ, რომელიც ითვალისწინებს საქართველოს მოქალაქეებისთვის შენგენის სივრცეში მოკლევადიანი უვიზო მიმოსვლის რეჟიმის შემოღებას.

2017 წლის 28 მარტს საქართველოს მოქალაქეებისთვის ევროკავშირის/შენგენის ზონაში უვიზოდ მიმოსვლის რეჟიმი ამოქმედდა.

2017 წლის 1 ივლისიდან, საქართველო ოფიციალურად გახდა ენეგეტიკული გაერთიანების სრულუფლებიანი წევრი (2016 წლის 14 ოქტომბერს ხელი მოეწერა ენერგეტიკული გაერთიანების დამფუძნებელ ხელშეკრულებასთან საქართველოს მიერთების შესახებ ოქმს, რომელიც ძალაში შევიდა 2017 წლის ივლისს).

2017 წლის 24 ნოემბერს, ბრიუსელში აღმოსავლეთ პარტნიორობის რიგით მე-5 სამიტი გაიმართა. სამიტის მონაწილეებმა შეაფასეს 2015 წლის რიგის სამიტის შემდეგ მიღწეული პროგრესი და ერთობლივი დეკლარაცია მიიღეს. დეკლარაციაში ევროკავშირისა და აღმოსავლეთ პარტნიორობის

წევრმა ქვეყნებმა კიდევ ერთხელ დაადასტურეს ის დიდი მნიშვნელობა, რომელსაც ისინი აღმოსავლეთ პარტნიორობას ანიჭებენ და კიდევ ერთხელ აღიარეს საქართველოს, უკრაინისა და მოლდოვის ევროპული მისწრაფებები და ევროპული არჩევანი.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ურთიერთობა მჭიდრო და პოზიტიურია. ევროკავშირი ერთგულია აღებული ვალდებულებისა, მხარი დაუჭიროს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, დამოუკიდებლობას და სუვერენიტეტს. ამასთან, ჩართულია აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის სეპარატისტული რეგიონების საქმეში, კონფლიქტის მოგვარების პროცესის მხარდასაჭერად.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ვაჭრობა წლების განმავლობაში ვითარდებოდა, დღეს ევროკავშირი საქართველოს მთავარი სავაჭრო პარტნიორია. DCFTA აღრმავებს საქართველოს ეკონომიკურ კავშირებს ევროკავშირთან ვინაიდან მოიცავს ისეთ საკითხებს, როგორიცაა სახელმწიფო შესყიდვები, საერთო საბაჟო წესები, სურსათის ტექნიკური და სანიტარული სტანდარტები, ინტელექტუალური საკუთრების საკითხები და კონკურენციის წესები. ევროკავშირი ხელს უწყობს მთავრობას ქვეყნის საექსპორტო პოტენციალის გაზრდაში, მათ შორის ხარისხის მართვის სისტემებისა და ხარისხის ინფრასტრუქტურის სისტემების ჩამოყალიბების გზით, რითაც უზრუნველყოფს პროდუქციის ევროკავშირის სტანდარტებთან შესაბამისობას.

ასოცირების ხელშეკრულების დადებითი ეფექტი სცდება თავისუფალი ვაჭრობის შედეგად მიღებულ სარგებელს. ხელშეკრულების სრულად განხორციელების შემდეგ, მოხდება საქართველოს ეკონომიკის მოდერნიზაცია, ევროპის საუკეთესო პრაქტიკის შესაბამისად რეფორმირება, ქვეყნის ინტეგრირებას გლობალურ ეკონომიკაში, შედეგად მივიღებთ ძლიერ კერძო სექტორს და ხელშესახებ ეკონომიკურ ზრდას რაც აისახება თითოეული მოქალაქის კეთილდღეობაზე.

რა არის ასოცირების ხელშეკრულება და რას მოიცავს?

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“ ფორმდება ევროკავშირსა და ევროკავშირის არაწევრ ქვეყანას შორის და მიზნად ისახავს მხარეთა შორის თანამშრომლობის ჩარჩოს შექმნას. „ასოცირების შესახებ შეთანხმება“ სამართლებრივად სავალდებულოა.

„ასოცირების შესახებ შეთანხმება“ წარმოადგენს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების ევროკავშირის სტანდარტებთან და ნორმებთან დაახლოების ევროკავშირის ძირითად ინსტრუმენტს. შეთანხმება პირობითად შეგვიძლია სამ ნაწილად დავყოთ: პოლიტიკური თანამშრომლობა

(პრეამბულა; კარი I-III; VIII) დარგობრივი თანამშრომლობა (კარი V-VII) და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცე (DCFTA) (კარი IV). შეთანხმება 1000-მდე გვერდს მოიცავს და ითვალისწინებს საქართველოს კანონმდებლობის დაახლოებას ევროკავშირის 300-მდე სამართლებრივ აქტთან.

შეთანხმება ქმნის თანამშრომლობის გაღრმავების შესაძლებლობებს შემდეგი ძირითადი მიმართულებებით:

- **საერთო ევროპული ფასეულობების განმტკიცება და დაცვა** დემოკრატიის და კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ერთგულება და გავრცელება; საერთაშორისო სამართლის პრინციპების, მათ შორის სუვერენიტეტისა და საერთაშორისოდ აღიარებულ საზღვრებში ტერიტორიული მთლიანობის პატივისცემა; კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარების ხელშეწყობა.
- **საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკა** პოლიტიკური დიალოგისა და თანამშრომლობის გაღრმავება შესაბამის სფეროებში, მათ შორის შიდასახელმწიფოებრივი რეფორმა, საერთაშორისო მასობრივი განადგურების იარაღის გაუვრცელებლობა, რეგიონალური სტაბილურობა და სხვა.
- **მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება,** მათ შორის, საზღვრის მართვის საკითხებზე თანამშრომლობის გაღრმავება, ფულის გათეთრების, ტერორიზმის, ნარკოტიკებით უკანონო ვაჭრობის, ორგანიზებული დანაშაულისა და ადამიანთა ტრეფიკინგის წინააღმდეგ ბრძოლა; პერსონალურ მონაცემთა დაცვა და სხვა.
- **დარგობრივი პოლიტიკის ყველა სფეროს მოდერნიზება და ევროპული სტანდარტების დანერგვა,** მაგალითად, ისეთ სფეროებში, როგორიც არის ტრანსპორტი, ენერგეტიკა, გარემოს დაცვა, სოფლის მეურნეობა, ტურიზმი, კვლევა და ტექნოლოგიები, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა, ჯანდაცვა, განათლება, კულტურა, სამოქალაქო საზოგადოება, რეგიონალური განვითარება და სხვა.
- **ვაჭრობა და ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხები,** რომელიც ითვალისწინებს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის (DCFTA) ჩამოყალიბებას.

რა არის DCFTA? რას მოიაზრებს? რატომ არის ასოცირების ხელშეკრულება და DCFTA მნიშვნელოვანი საქართველოსთვის?

DCFTA მოიცავს ევროკავშირთან ეკონომიკური ინტეგრაციის მექანიზმს და იძლევა საქართველოსთვის ევროკავშირის შიდა ბაზრის გახსნის საშუალებას.

DCFTA საქართველოს საშუალებას აძლევს ეტაპობრივად მიიღოს ევროკავშირის შიდა ბაზრის ოთხი თავისუფლებიდან სამი: საქონლის, მომსახურების და კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება. მეოთხე თავისუფლებას – ადამიანების თავისუფალ გადაადგილებას, ხელს უწყობს შენგენის ქვეყნებში უვიზო მიმოსვლის რეჟიმი.

DCFTA ანალიტიკური თვალსაზრისით შეიძლება ორ ძირითად კომპონენტად დაიყოს. „თავისუფალი სავაჭრო სივრცის“ (FTA) ნაწილი საქართველოსა და ევროკავშირის წევრ ქვეყნებს შორის პროდუქტებითა და მომსახურებებით თავისუფალ ვაჭრობას ეხება. ოფიციალური განმარტების თანახმად, DCFTA „აუქმებს პროდუქტების იმპორტის ტარიფებს და უზრუნველყოფს ფართო ორმხრივ წვდომას სერვისებით ვაჭრობაზე“. გარდა ამისა, დებულება „დაფუძნების“ შესახებ საშუალებას აძლევს ქართულ და ევროპულ კომპანიებს, ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე გახსნან ფილიალები და მონაწილეობა მიიღონ სახელმწიფო შესყიდვების ტენდერებში. შეთანხმების „ღრმა და ყოვლისმომცველი“ ნაწილი (DC) ეხება კანონმდებლობის, ნორმებისა და რეგულაციების ძირეულ ჰარმონიზაციას, რომლის შედეგად ქართული ეკონომიკის ძირითადი სექტორები შესაბამისობაში იქნება ევროკავშირის სტანდარტებთან. „ღრმა და ყოვლისმომცველი“ კომპონენტი მიზნად ისახავს, ერთი მხრივ, ევროკავშირის ბაზრის გახსნას მის ფარგლებს გარეთ წარმოებული პროდუქტებისა და მომსახურებებისთვის, მეორე მხრივ კი ევროპული კომპანიებისთვის გზის გახსნას ახალ ბაზრებზე შესასვლელად.

DCFTA მოიცავს შემდეგ თავებს:

▶ საქონლით ვაჭრობა

შეთანხმება არეგულირებს საქონლით ორმხრივი ვაჭრობის პირობებსა და საბაჟო გადასახადების ლიბერალიზაციას. შეთანხმების მიხედვით, არც ერთ მხარეს არ აქვს უფლება დააწესოს ან შეინარჩუნოს საბაჟო ან სხვა ეკვივალენტური გადასახადი საქონლის ექსპორტზე, ხოლო იმპორტისათვის განსაზღვრულია დამატებითი პირობები.

▶ ვაჭრობაში დაცვითი ზომები

შეთანხმება არეგულირებს ვაჭრობაში დაცვითი, ანტიდემპინგური და სუბსიდიების საწინააღმდეგო ზომების გამოყენების პირობებს. ვაჭრობაში დაცვითი ზომების გამოყენების შემთხვევაში მხარეები ხელმძღვანელობენ ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის (WTO) შესაბამისი ხელშეკრულებებით.

მოცემული შეთანხმებით განსაზღვრულია, რომ დემპინგური იმპორტის, გადაჭარბებული იმპორტისა და სუბსიდირებული იმპორტის შემთხვევაში, მხარეებს უფლება აქვთ ვმო-ს შეთანხმებებით გათვალისწინებული პროცედურებით გამოიყენონ ვაჭრობაში დაცვითი ზომები.

შეთანხმება, ასევე განსაზღვრავს ვაჭრობაში დაცვითი ღონისძიებების გამოყენებისას მაქსიმალური გამჭვირვალობის უზრუნველყოფას. ამასთან, DCFTA-ის დავების მოგვარების ნაწილი არ ვრცელდება ამ თავის დებულებებზე.

▶ ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სტანდარტიზაცია, მეტროლოგია, აკრედიტაცია და შესაბამისობის შეფასება

შეთანხმების ეს ნაწილი ითვალისწინებს საქართველოში სტანდარტების, ტექნიკური რეგლამენტების, მეტროლოგიის, ბაზრის ზედამხედველობის, აკრედიტაციისა და შესაბამისობის შეფასების სისტემების ევროკავშირის შესაბამის სისტემებთან დაახლოებას, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს როგორც საკანონმდებლო, ისე ინსტიტუციონალურ დაახლოებას.

▶ სანიტარიული და ფიტოსანიტარიული ზომები

შეთანხმება გულისხმობს სანიტარულ და ფიტოსანიტარულ ღონისძიებებს დაქვემდებარებული პროდუქციით ვაჭრობის ხელშეწყობას. ამავდროულად, ადამიანების, ცხოველებისა და მცენარეების ჯანმრთელობის დაცვას შემდეგი ღონისძიებებით:

- ▷ ვაჭრობასთან დაკავშირებული სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებების სრული გამჭვირვალობის უზრუნველყოფა;
- ▷ საქართველოს კანონმდებლობის დაახლოება ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან;
- ▷ ცხოველთა და მცენარეთა ჯანმრთელობის სტატუსის აღიარება და რეგიონალური პრინციპის დანერგვა;
- ▷ საქართველოსა და ევროკავშირს შორის სანიტარული და ფიტოსანიტარული ღონისძიებების გატარებისას თანამშრომლობის გაღრმავება.
- ▷ აგრეთვე, შეთანხმება მიზნად ისახავს საქართველოსა და ევროკავშირს შორის ცხოველთა კეთილდღეობის მიმართ ერთნაირი მიდგომების ჩამოყალიბებას.

▶ საბაჟო და ვაჭრობის ხელშეწყობა

შეთანხმება ეხება საბაჟო საკითხებში თანამშრომლობასა და პროცედურების გამჭვირვალობას.

▶ დაფუძნება, მომსახურებით ვაჭრობა და ელექტრონული კომერცია

შეთანხმება განმარტავს მეწარმე სუბიექტების დაფუძნებისა და მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდების პირობებს და მათი მოპყრობის სტანდარტებს, აგრეთვე ელექტრონული კომერციის განხორციელების ძირითად პირობებს. იგი შეიცავს დებულებებს, რომლის მიხედვითაც დაფუძნებისა და მომსახურების საზღვრებს გარეთ მიწოდებისას მხარეებმა უნდა გამოიყენონ ეროვნული რეჟიმი და უპირატესი ხელშეწყობის რეჟიმი.

შეთანხმებით განსაზღვრულია ზოგადი გამონაკლისები დადგენილი პირობებიდან. აღნიშნული გამონაკლისები ძირითადად ეხება საზოგადოებრივი წესრიგის, უსაფრთხოების, ადამიანების ჯანმრთელობისა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვას. შეთანხმება ასევე არეგულირებს სხვადასხვა კატეგორიის ფიზიკური პირების ქვეყანაში შემოსვლისა და საქმიანი მიზნით დარჩენის პირობებს.

▶ მიმდინარე გადახდები და კაპიტალის მოძრაობა

მოცემული შეთანხმებით მხარეები იღებენ ვალდებულებას უზრუნველყონ კაპიტალის თავისუფალი გადაადგილება, მათ შორის, მოგების რეპატრიაცია და პირდაპირი ინვესტიციები. შეთანხმება ასევე ითვალისწინებს მხარეების მიერ დაცვის ზომების გამოყენებას, იმ შეთხვევაში, თუ კაპიტალის თავისუფალი მოძრაობა საფრთხეს უქმნის ქვეყნის საგადასახდელო ბალანსს. მხარეები ასევე თანხმდებიან კაპიტალის თავისუფალი გადაადგილებისას ევროკავშირის წესების ეტაპობრივ გამოყენებაზე.

▶ საჯარო შესყიდვები

შეთანხმება ითვალისწინებს შესაბამისი სახელმწიფო შესყიდვების ბაზრების ორმხრივ და თანმიმდევრულ გახსნას. ხელშეკრულება ვრცელდება იმ სახელმწიფო შესყიდვებზე, რომელთა ღირებულება აღემატება ხელშეკრულებით გათვალისწინებულ მონეტარულ ზღვრებს. ყველაზე დაბალი მონეტარული ზღვარი არის 130000 ევრო.

შეთანხმება ასევე ითვალისწინებს სახელმწიფო შესყიდვების კანონმდებლობის ევროკავშირის შესაბამის კანონმდებლობასთან დაახლოებას, კერძოდ, ევროკავშირის იმ ოთხი ძირითადი დირექტივის შესრულებას, რომლებიც ეხება:

- სამუშაოების, საქონლის მიწოდებისა და მომსახურების საჯარო ხელშეკრულების დასადებად გამარჯვებულის გამოვლენის პროცედურების კოორდინაციას;
- წყლის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და საფოსტო მომსახურების სექტორში მოქმედი ორგანიზაციების მიერ შესყიდვების პროცედურების კოორდინაციას;
- საქონლის მიწოდებისა და სამუშაოების საჯარო ხელშეკრულებებთან დაკავშირებული დავების განხილვის პროცედურების გამოყენების შესახებ კანონების, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების კოორდინაციას;
- წყლის, ენერგეტიკის, ტრანსპორტისა და ტელეკომუნიკაციების სექტორში მოქმედი ორგანიზაციების მიერ შესყიდვების პროცედურების ევროკავშირის წესების გამოყენების თაობაზე კანონის, რეგულაციებისა და ადმინისტრაციული დებულებების კოორდინაციას.

ინტელექტუალური საკუთრების უფლებები

შეთანხმებაში მოცემულია ინტელექტუალური საკუთრების უფლებებთან დაკავშირებული ის სავალდებულო სტანდარტები, რომლებსაც უნდა აკმაყოფილებდეს შეთანხმების მუხლებით გათვალისწინებული ინტელექტუალური საკუთრების ყველა კატეგორია, როგორებიცაა საავტორო და მომიჯნავე უფლებები, სასაქონლო ნიშნები, გეოგრაფიული აღნიშვნები (აღნიშნულ საკითხზე ევროკავშირთან უკვე გაფორმებულია შეთანხმება, რომელიც ძალაში შესულია 2012 წლიდან), დიზაინი, პატენტები, სამედიცინო პროდუქტებისა და მცენარეთა დაცვის საშუალებების ბაზარზე განთავსების ნებართვის მისაღებად წარდგენილი მონაცემების დაცვასთან დაკავშირებული ნორმები.

შეთანხმება ასევე არეგულირებს ინტელექტუალური საკუთრების უფლებების აღსრულებასთან დაკავშირებულ პროცედურულ ნორმებს და განსაზღვრავს ამ მიმართულებით სასამართლო ორგანოების უფლებამოსილებებსა და მათ მიერ განსახორციელებელ უზრუნველყოფის ღონისძიებებს.

შეთანხმება ასევე ეხება ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვასთან დაკავშირებულ საბაჟო თანამშრომლობასა და ინფორმაციის ეფექტიანად გაცვლას. საბაჟო კუთხით ევროკავში-

რის კანონმდებლობასთან დაახლოების ვალდებულება მოცემულია თავში საბაჟოს შესახებ და შესაბამის დანართში.

▶ კონკურენცია

შეთანხმება ითვალისწინებს მხარეების ვალდებულებას, ჰქონდეთ კონკურენციის მარეგულირებელი კანონმდებლობა და შესაბამისი აღმასრულებელი ორგანო.

▶ ვაჭრობასთან დაკავშირებული დებულებები ენერგეტიკის სფეროში

შეთანხმება მოიცავს, როგორც ენერგორესურსებით თავისუფალი ვაჭრობის, ისე მხარეებს შორის თავისუფალი ტრანზიტის უზრუნველყოფის ვალდებულებას.

იქიდან გამომდინარე, რომ ენერგორესურსებით ვაჭრობა სხვა დანარჩენი სფეროებისგან განსხვავებით, მოიცავს ენერგიის გადაცემას წინასწარ განსაზღვრული გადამცემი სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მეშვეობით მიმწოდებლიდან დანიშნულების პუნქტამდე და ბუნებრივად არის მონოპოლური საქმიანობა, თავისუფალი ტრანზიტი მთავარი წინაპირობაა ენერგიის მიწოდების უსაფრთხოების თვალსაზრისით.

▶ გამჭირვალობა

შეთანხმება უზრუნველყოფს სავაჭრო საკითხების მარეგულირებელი სისტემის გამჭვირვალობას საკანონმდებლო და ნორმატიული აქტებისა და მათი პროექტების საჯარო ხელმისაწვდომობის საშუალებით. ასევე, ადგენს მხარეებს შორის ეფექტიანი კომუნიკაციის უზრუნველყოფის მექანიზმს.

გარდა ამისა, შეთანხმებით გათვალისწინებულია სასამართლო, საარბიტრაჟო ან ადმინისტრაციული ორგანოების არსებობა, რომლებშიც შესაძლებელი იქნება მიღებული ზომების გასაჩივრება.

▶ ვაჭრობა და მდგრადი განვითარება

შეთანხმების მიზანია საერთაშორისო ვაჭრობის იმგვარად განვითარება, რომ შესრულდეს მდგრადი განვითარების ძირითადი ამოცანები. დაცული უნდა იქნეს შრომის ძირითადი პრინციპები და უფლებები, ღირსეული შრომის პირობების უზრუნველსაყოფად.

შრომით საკითხებთან დაკავშირებული სტანდარტები მოიცავს ყოველი დასაქმებულის დასაქმებისა და ღირსეული შრომის პირობების უზრუნველყოფას. ამასთან, შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის (ILO) დეკლარაციის შესაბამისად, კანონმდებლობაში უნდა აისახოს ძირითადი სტანდარტები. მათ შორის:

- გაერთიანების თავისუფლება და კოლექტიური მოლაპარაკების უფლების აღიარება;
- იძულებით ან ძალდატანებით შრომის ყოველგვარი ფორმის აღმოფხვრა;
- ბავშვთა შრომის შეზღუდვა;
- დასაქმებისა და შრომასთან მიმართებით ყოველგვარი დისკრიმინაციის აღმოფხვრა.

მდგრადი განვითარების ძირითადი პრინციპებიდან (ეკონომიკური განვითარება, სოციალური განვითარება და გარემოს დაცვა) გამომდინარე, ვაჭრობის წახალისება ან ქვეყნის შიგნით ინვესტიციების მოზიდვა არ უნდა მოხდეს ადგილობრივი შრომითი ან გარემოსდაცვითი კანონმდებლობის შესუსტების ხარჯზე.

დავების მოგვარება

შეთანხმება არეგულირებს დავების მოგვარების საკითხს. კერძოდ, ამ შეთანხმებით გათვალისწინებული მექანიზმით რეგულირდება ის დავები, რომლებიც უკავშირდება შეთანხმებით გათვალისწინებული ვაჭრობის ან ვაჭრობასთან დაკავშირებული საკითხების მარეგულირებელი დებულებების განმარტებას ან გამოყენებას. აღნიშნული მიზნებისთვის გათვალისწინებულია დავების მოგვარების სპეციალური მექანიზმი, რომელიც სტრუქტურითა და ეტაპებით ვაჭრობის მსოფლიო ორგანიზაციის ფარგლებში მოქმედი დავების მოგვარების მექანიზმის მსგავსია.

დაახლოების ზოგადი დებულებები

შეთანხმება განსაზღვრავს საქართველოს მიერ ევროკავშირთან საკანონმდებლო დაახლოების შეფასების მექანიზმებს. შეთანხმებით ასევე განსაზღვრულია მხარეებს შორის დაახლოებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ურთიერთგაცვლა.

რა ტიპის ვალდებულებების შესრულება მოუწევს კერძო სექტორს DCFTA-ს ფარგლებში? როგორ აისახება ეს საზოგადოებაზე?

DCFTA ითვალისწინებს ვაჭრობასთან დაკავშირებული საქართველოს კანონმდებლობის ეტაპობრივ დაახლოებას ევროკავშირის კანონმდებლობასთან შემდეგ სფეროებში: სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები, ტექნიკური ბარიერები ვაჭრობაში, სახელმწიფო შესყიდვები, საბაჟო და მომსახურებით ვაჭრობა (ელექტრონული კომუნიკაცია, ფინანსური მომსახურება, ტრანსპორტი, ფოსტა და საკურიერო მომსახურება).

აღნიშნულ სფეროებში (კერძოდ, **სანიტარული და ფიტოსანიტარული ზომები და ვაჭრობაში ტექნიკური ბარიერები**) დაახლოების შედეგად საქართველოში შეიქმნება ევროპული დონის სურსათის უვნებლობისა და ხარისხის ეროვნული ინფრასტრუქტურის სისტემები, რაც ხელს შეუწყობს ქართული სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიული პროდუქციის თავისუფალ შესვლას ევროკავშირის ბაზარზე და, ასევე, ადგილობრივ ბაზარზე უვნებელი და უსაფრთხო პროდუქტის მიწოდებას.

აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებების პროცესში ქართულმა მხარემ მიაღწია უპრეცედენტო შეთანხმებას ევროკავშირთან სატარიფო ლიბერალიზაციის კუთხით. შეთანხმების ძალაში შესვლისთანავე, ქართული წარმოშობის ყველა პროდუქტი (ნივრის გარდა, რომელზეც იმოქმედებს რაოდენობრივი შეზღუდვა), გათავისუფლდება საბაჟო ტარიფისგან ევროკავშირის ბაზარზე იმპორტისას.

სახელმწიფო შესყიდვების სფეროში კანონმდებლობის დაახლოვება უზრუნველყოფს საქართველოს სახელმწიფო შესყიდვების მაქსიმალურ გამჭვირვალობას და, ამასთან, საქართველოში წარმოებული საქონლისა და მომსახურების დაშვებას ევროკავშირის წევრი ქვეყნების სახელმწიფო შესყიდვების ბაზარზე.

საბაჟო სფეროში კანონმდებლობის დაახლოვების შედეგად, საქართველოს საბაჟო რეგულაციები დაუახლოვდება ევროკავშირის პროგრესულ რეგულაციებს. განხორციელდება მჭიდრო თანამშრომლობა საქართველოსა და ევროკავშირის საბაჟო ადმინისტრაციებს შორის, რაც ხელს შეუწყობს საქართველო-ევროკავშირს შორის ექსპორტ/იმპორტის პროცედურების გამარტივებას, გამჭვირვალე და პროგნოზირებადი გარემოს შექმნას.

მომსახურებით ვაჭრობის სფეროში კანონმდებლობის დაახლოვება შესაძლებლობას ქმნის, განხორციელდეს მომსახურების ბაზრების შემდგომი ლიბერალიზაცია, რაც გაუმჯობესებს ქართული კომპანიებისათვის ევროკავშირის შესაბამის ბაზრებზე დაშვების პირობებს.

რა სარგებელს მოიტანს საქართველოს ასოცირების ხელშეკრულების ვალდებულებების განხორციელება? ეკონომიკური, სოციალური, პოლიტიკური სარგებელი, სავაჭრო და არასავაჭრო სარგებელი

საქართველო-ევროკავშირს შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობის სივრცის ჩამოყალიბება ხელს შეუწყობს:

- ევროკავშირის ბაზრის მოთხოვნებთან თავსებადი სავაჭრო სისტემის ფორმირებას;
- გამჭვირვალე, სტაბილური ბიზნეს გარემოს ჩამოყალიბებას;
- საქართველოს საინვესტიციო მიმზიდველობისა და შესაბამისად, უცხოური ინვესტიციების ზრდას;
- ქვეყნის მდგრად განვითარებასა და ბუნებრივი რესურსების რაციონალურად გამოყენებას;
- ახალი საწარმოებისა და საექსპორტო პროდუქციის შექმნას;
- ადგილობრივი წარმოების მასშტაბების ზრდის კვალობაზე ახალი სამუშაო ადგილების შექმნას;
- ქართული პროდუქციის საექსპორტო ბაზრების დივერსიფიცირებასა და გაფართოებას;
- ქართველი ექსპორტიორებისთვის ექსპორტთან დაკავშირებული ხარჯების შემცირებას; · ქართველი მომხმარებლისთვის უსაფრთხო და უვნებელი პროდუქტის მიწოდებას;
- ინტელექტუალური საკუთრების უფლების დაცვას;
- სახელმწიფო ადმინისტრირების ორგანოების განვითარებას საუკეთესო ევროპული პრაქტიკის შესაბამისად;
- ზოგადად, ეკონომიკური ზრდის სტიმულირებასა და ქვეყნის ეკონომიკურ განვითარებას: მოკლევადიან პერსპექტივაში მთლიანი შიდა პროდუქტის (მშპ) ზრდას 1,7 %-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში – 4,3 %-ით. მოკლევადიან პერსპექტივაში ექსპორტის 9 %-ით, იმპორტის 4,4 %-ით, ხოლო გრძელვადიან პერსპექტივაში ექსპორტის 12 %-ით, იმპორტის კი 7,5%-ით ზრდას.

„ასოცირების შესახებ შეთანხმების“ იმპლემენტაციის შედეგად, საქართველოს მოქალაქეები კონკრეტულ სარგებელს მიიღებენ. მათ შორის, აღსანიშნავია, ადგილობრივი სოფლის მეურნეობის პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება; მცირე და საშუალო საწარმოებისთვის უკეთესი შესაძლებლობების გახსნა; ევროპული განათლების ხელმისაწვდომობა; გაუმჯობესებული ჯანდაცვა; ენერგო ეფექტიანობის გაზრდა და განახლებადი ენერგო რესურსების განვითარება; უკეთესად ფუნქციონირებადი სასამართლო, გამყარებული კანონის უზენაესობა, საჯარო სამსახურის გაზრდილი ანგარიშვალდებულება და გამჭვირვალობა და სხვა.

ვინ არიან პასუხისმგებელი უწყებები ხელშეკრულების განხორციელების პროცესში?

საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოციირების შესახებ შეთანხმების ეფექტიანი განხორციელების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა შესახებ საქართველოს მთავრობამ 2014 წლის 7 თებერვლის N 186 განკარგულება მიიღო.

საქართველოს საგარეო საქმეთა სამინისტროს ევროკავშირთან პოლიტიკური დიალოგის წარმართვა, ხოლო საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს კი ასოცირების შესახებ შეთანხმების ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცესთან დაკავშირებული ნაწილის განხორციელების საერთო კოორდინაცია და მონიტორინგი დაევალათ.

განკარგულების თანახმად, შესაბამის სამინისტროებს დაევალათ:

- არსებულ სტრუქტურაში გააძლიერონ ევროინტეგრაციაზე მომუშავე სამსახურები და გამოყონ აღნიშნული საქმიანობისთვის პასუხისმგებელი პირი (მინისტრის მოადგილის დონეზე);.
- ასოცირების შეთანხმებით განსაზღვრული სამინისტროს კომპეტენციის სფეროში არსებული საკითხების განხორციელების ყოველწლიური ერთიანი ეროვნული სამოქმედო გეგმის შემუშავება;.
- სამინისტროების კომპეტენციების შესაბამისად, ასოციირების შესახებ შეთანხმების პრიორიტეტების სრულფასოვნად ასახვა ასოციირების დღის წესრიგის თაობაზე საქართველოს მთავრობის ყოველწლიურ ერთიან ეროვნულ სამოქმედო გეგმაში;
- ასოცირების შესახებ შეთანხმების ყოველწლიური ერთიანი ეროვნული სამოქმედო გეგმის შესრულების ერთიან ანგარიშში ჩართვის მიზნით, ასოცირების შესახებ შეთანხმებით განსაზღვრული სამინისტროს კომპეტენციის სფეროსთან დაკავშირებული ნაწილის განხორციელების 6 თვის და წლიური ანგარიშების მომზადება.

თავის მხრივ, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში საქართველოს სახელმწიფო მინისტრის აპარატს ევალებოდა:

- ევროკავშირთან ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების ერთიანი პოლიტიკის შემუშავება, მისი განხორციელების საერთო კოორდინაცია და მონიტორინგი;
- შესაბამისი სამინისტროების პრიორიტეტების გათვალისწინებით და მათთან მჭიდრო თანამშრომლობით, ერთიანი ეროვნული სამოქმედო გეგმის მომზადება;
- ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების მხარდასაჭერად, ევროკავშირისა და ევროკავშირის წევრი ქვეყნების დახმარების ფარგლებში პროგრამების საერთო კოორდინაცია;

- საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის კანონმდებლობასთან დაახლოებისა და შესაბამისი საკანონმდებლო ღონისძიებების ეფექტიანად განხორციელების მიზნით საქართველოს პარლამენტთან კოორდინაციის გაძლიერება.

საქართველოსა და ევროკავშირს შორის გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების, მათ შორის, ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის კოორდინაცია ხორციელდება ორ დონეზე.

ადგილობრივ დონეზე კოორდინაცია გულისხმობს კოორდინაციას საქართველოს სახელმწიფო უწყებებს შორის, ევროინტეგრაციის კომისიის მეშვეობით. კომისიის თავმჯდომარეა საქართველოს პრემიერ-მინისტრი, ხოლო წევრი სამინისტროები წარმოდგენილნი არიან მინისტრების დონეზე. კომისია, სხვა საკითხებთან ერთად ზედამხედველობს და კოორდინაციას უწევს ასოცირების შესახებ შეთანხმების, მათ შორის DCFTA-ს ფარგლებში საქართველოს მთავრობის მიერ ნაკისრი ვალდებულებების შესრულების პროცესს. კომისიის შეხვედრები იმართება ყოველკვარტლურად. უშუალოდ DCFTA-ს განხორციელების მიზნით ამავე კომისიის ფარგლებში შექმნილია DCFTA-ს განხორციელების საკოორდინაციო უწყებათაშორისი ქვეკომისია, რომელსაც ხელმძღვანელობს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილე, ხოლო წევრი სამინისტროები და სხვა შესაბამისი სახელმწიფო უწყებები წარმოდგენილნი არიან მინისტრების მოადგილეებისა და ხელმძღვანელების დონეზე.

როგორ გავიგოთ ვალდებულებების შესახებ მეტი ინფორმაცია? რა საინფორმაციო რესურსი არსებობს ასოცირების ხელშეკრულების შესახებ? რა არის ასოცირების სამოქმედო გეგმა?

WWW.AA.GE ასოცირების ხელშეკრულების ინტერაქტიული გზამკვლევია, ის თავს უყრის ასოცირების ხელშეკრულებით საქართველოს მიერ ნაკისრ ყველა ვალდებულებას. ვებპორტალი მომხარებელს საშუალებას აძლევს ერთ სივრცეში მოიძიოს თემა, რომელიც აინტერესებს (მაგ: განათლება, საბაჟო კანონმდებლობა, ჯანდაცვა, ტრანსპორტი, მცენარეთა დაცვა, ვეტერინარია და ა.შ.) და 2027 წლის ჩათვლით, თემისა და თარიღის მიხედვით, დაახარისხოს ინფორმაცია საქართველოს კანონმდებლობის ევროკავშირის სამართლებრივ აქტებთან დაახლოების შესახებ. გარდა ამისა, ვებპორტალის საშუალებით შესაძლებელია კონკრეტული დირექტივის ან რეგულაციის ორიგინალში გაცნობა და ვალდებულებების დეტალურად შესწავლა და ისიც, თუ რა ეტაპზეა ამა თუ იმ რეგულაციასა და დირექტივასთან საქართველოს კანონმდებლობის დაახლოების პროცესი.

WWW.AA-MONITORING.GE წარმოადგენს საქართველო-ევროკავშირს შორის ასოცირების შეთანხმების განხორციელების შესახებ საინფორმაციო პორტალს. გვერდი შეიქმნა ევროპულ და ევროატლანიტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატის, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განვითარების პროგრამისა (UNDP) და შვედეთის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (SIDA) თანამშრომლობის შედეგად. მისი მიზანია საზოგადოებას მიაწოდოს ინფორმაცია რეფორმებისა და ცვლილებების შესახებ, რომელიც უკავშირდება:



- ▷ ასოცირების შეთანხმების ეროვნული სამოქმედო გეგმების განხორციელებას;
- ▷ ასოცირების შეთანხმების ფარგლებში დარგობრივი მიმართულებებით განხორციელებულ ცვლილებებსა და რეფორმებს;
- ▷ ასოცირების შეთანხმების განხორციელების პროცესში ცალკეული დარგებისა და განხორციელებული ქმედებების სტატისტიკურ მონაცემებს;
- ▷ ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცისა (DCFTA) და სექტორული თანამშრომლობის მიმართულებით განხორციელებულ ცვლილებებსა და პოლიტიკას;
- ▷ ასოცირების შეთანხმების ეროვნული სამოქმედო გეგმის ფარგლებში დაგეგმილ აქტივობებსა და საკანონმდებლო ინიციატივებს;
- ▷ გამჭვირვალობის, საზოგადოების ინფორმირებისა და კუთვნილების ზრდას ასოცირების შეთანხმების განხორციელებისა და ევროინტეგრაციის პროცესში.

WWW.DCFTA.GOV.GE-ს მართავს საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო. ვებგვერდზე მომხმარებელს შუძლია გაეცნოს პრაქტიკული და საკანონმდებლო სახის ინფორმაციას DCFTA-ს შესახებ, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ ენაზე.

DCFTA-ს ვებგვერდის მიზანია:

- ხელი შეუწყოს დაინტერესებულ პირებს შეუფერხებლად მიიღონ ინფორმაცია იმ სარგებელის, შესაძლებლობებისა და უპირატესობების შესახებ, რომლებიც DCFTA-თ არის გათვალისწინებული;
- მიაწოდოს ინფორმაცია დაინტერესებულ პირებს ევროკავშირის იმ გრანტებისა და სხვა, ფინანსური დახმარებების ინსტრუმენტების შესახებ, რომლებიც DCFTA-ს ფარგლებში ხორციელდება;
- დაინტერესებულ პირებს მიაწოდოს უახლესი ინფორმაცია მიმდინარე რეფორმებისა და საკანონმდებლო ინიციატივების შესახებ.
- DCFTA-ს საინფორმაციო ვებგვერდი დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას აძლევს, უფლებამოსილ ორგანოებს წარუდგინონ შენიშვნები ან წინადადებები DCFTA-ს ფარგლებში მათ მიერ მისაღები ნორმატიული აქტების პროექტებზე.

რაც შეეხება ასოცირების დღის წესრიგს, ამ დოკუმენტის მიზანია „ასოცირების შესახებ შეთანხმების“ განხორციელებისთვის მომზადებისა და მისი ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობა. ასოცირების დღის წესრიგი წარმოადგენს „ასოცირების შესახებ შეთანხმებით“ აღებული ვალდებულებების პრიორიტეტული საკითხების სამწლიან გეგმას. პირველი ასოცირების დღის წესრიგი დამტკიცდა 2014 წლის ივლისში, რომელიც მოიცავდა 2014-2016 წლების პერიოდს. მხარეთა შორის ხანგრძლივი მოლაპარაკებების შემდეგ, 2017 წლის ნოემბერში გამოქვეყნდა მეორე ასოცირების დღის წესრიგი, რომელიც 2017-2020 წლებს ფარავს – https://eeas.europa.eu/sites/eeas/files/annex_ii_-_eu-georgia_association_agenda_text.pdf

განახლებულ დღის წესრიგში შენარჩუნებულია ევროკავშირსა და საქართველოს შორის პოლიტიკური ასოცირებისა და ეკონომიკური ინტეგრაციის მისაღწევად შემუშავებული პრაქტიკული ჩარჩო; დღის წესრიგით განსაზღვრულია მომდევნო წლების რეფორმების ფართომასშტაბიანი პროგრამა. დოკუმენტში განხილულია საკითხების ფართო სპექტრი, კერძოდ, დემოკრატიული ინტიტუტების განმტკიცება, კანონის უზენაესობა, სასამართლოს დამოუკიდებულობა, ადამიანის უფლებების პატივისცემა, ასევე, საგარეო და უსაფრთხოების პოლიტიკის სფეროში თანამშრომლობა და კონფლიქტების მშვიდობიანი მოგვარება. დღის წესრიგი ასევე განიხილავს ეკონომიკურ და სავაჭრო საკითხებს, სპეციალური თავი ეთმობა ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცეს და ისეთ სფეროებში თანამშრომლობას, როგორიცაა ენერგეტიკა, ტრანსპორტი, დასაქმება და სოციალური პოლიტიკა.

რა ტიპის ფინანსურ მხარდაჭერას ალუთქვამს ევროკავშირი საქართველოს? რა ტიპის პროგრამებს აფინანსებს ევროკავშირი? როგორ ეხმარება ის სამოქალაქო საზოგადოებას და კერძო სექტორს?

საქართველოში განსახორციელებელი პროექტებისთვის ევროკავშირი ყოველწლიურად 100 მილიონ ევროზე მეტ თანხას გამოყოფს. ფინანსური და ტექნიკური თანამშრომლობის ფარგლებში ევროკავშირი ეხმარება საქართველოს ფართომასშტაბიანი რეფორმების განხორციელების პროცესში. დღეისათვის საქართველოში 100-ზე მეტი პროექტი ხორციელდება. 2014 წლის 18 ივლისს საქართველომ ხელი მოაწერა ურთიერთგაგების შესახებ მემორანდუმს, რითაც განისაზღვრა თანამშრომლობის პრიორიტეტები 2014-2017 წლებისათვის, ხოლო ამ პერიოდისთვის წინასწარმა ფინანსურმა ასიგნებებმა დაახლოებით 335-410 მილიონი ევროს მოცულობის თანხა შეადგინა. ევროკავშირის დახმარება შემდეგი სფეროებისთვის არის გამოყოფილი: მართლმსაჯულება, თავისუფლება და უსაფრთხოება, ადამიანის უფლებები, დემოკრატიზაცია და სამოქალაქო საზოგადოება, კონფლიქტების მოგვარება, ეკონომიკა, ვაჭრობა და სახელმწიფო ფინანსების მართვა; ინფრასტრუქტურა, გარემოს დაცვა და სოფლის განვითარება; განათლება, ჯანდაცვა და სოციალური განვითარება.

ევროკავშირის ფინანსური დახმარება გამოიყოფა გრანტების, კონტრაქტებისა და საბიუჯეტო დახმარების სახით.

უფრო მჭიდრო თანამშრომლობის წარმატებული მაგალითები

- ევროკავშირის დახმარება სოფლის მეურნეობისთვის **ზრდის ქართველ ფერმერთა შემოსავლებს**. სწორედ ამისთვის შეიქმნა ევროკავშირის დახმარებით ფერმერთა 1500 კოოპერატივი. წინასწარი მონაცემები ადასტურებს, რომ ფერმერთა კოოპერატივებს პოტენციურად შეუძლიათ სამრეწველო ხარჯების შემცირება 30%-ით, ხოლო შემოსავლების გაზრდა – 20%-ით.
- ევროკავშირი ინტენსიურად ცდილობს დაეხმაროს საქართველოს მოქალაქეებს, რომ მათთვის **მართლმსაჯულება უფრო ხელმისაწვდომი გახდეს**. ამ მიზნით ევროკავშირი დაეხმარა სახელმწიფოს იურიდიული სამსახურის შექმნაში, რომელმაც დღემდე 150 000 საქართველოს მოქალაქეს გაუწია უფასო იურიდიული მომსახურება.
- ევროკავშირი ეხმარება საქართველოს მთავრობას, რომ **ფინანსების მართვა უფრო გამჭვირვალე გახდეს, ხოლო ანგარიშვალდებულება მოქალაქეების წინაშე – გაიზარდოს**. 2014 წლიდან მთავრობა აქვეყნებს სახელმწიფო ბიუჯეტის ცნობარს მოქალაქეებისთვის, სადაც ნათლად განმარტავს, თუ სად და როგორ დაიხარჯა თანხები.

თორნიკე კაპანაძე ბოლნისელი ახალგაზრდა ფერმერია. მან რამდენიმე წლის წინ 8 თანამოაზრე შემოიკრიბა და ხატის სოფელში ფერმერული კოოპერატივი „მიგრინო“ შექმნა. კოოპერატივი თავიანი ხახვის მოვლა-მოყვანითა და სასოფლო-სამეურნეო მომსახურებით არის დაკავებული. დაახლოებით ერთი წლის წინ კოოპერატივმა ENPARD-ის საგრანტო კონკურსში მიიღო მონაწილეობა. თორნიკესა და მისი თანაკოოპერატიველების პერსპექტიული ბიზნეს გეგმა, ევროკავშირის პარტნიორმა ორგანიზაციამ „მოძრაობა შიმშილის წინააღმდეგ“ მოიწონა და ევროკავშირის საგრანტო პროგრამის ფარგლებში 30%-იანი თანამონაწილეობით 49,000 ევროს ღირებულების ტექნიკური აღჭურვილობა გადასცა საჩუქრად.

კოოპერატივი „კონა“ 5 წევრისგან შედგება, ენპარდის პროგრამის ფარგლებში, ოქსფამისა და მისი კონსორციუმის წევრი ორგანიზაციის ბიოლოგიურ მეურნეობათა ასოციაცია „ელკანას“ მხარდაჭერით, კოოპერატივი 2015 წელს შეიქმნა. „ენპარდის“ დახმარებით კოოპერატივის წევრებმა წვეთოვანი სისტემა და ბალახეული ჩაის წარმოების საწარმო მოაწყვეს. კოოპერატივის შექმნის იდეის ავტორია ნატალია ფარცხალაძე.

ბათუმში, გიორგი ბრწყინვალის ქუჩაზე ერთი პატარა, საოჯახო ტიპის სასტუმრო მდებარეობს. სასტუმროს „მარანი“ ქვია, რადგან მისი ერთ-ერთი ღირსება სასტუმროს შიგნით საკუთარი ქართული მარანის არსებობაა. ვაჟა დავითაძე კოოპერატივი „საწურის“ თავმჯდომარე და სასტუმროს მფლობელია. კოოპერატივმა ცოტა ხნის წინ ევროკავშირის ფინანსური მხარდაჭერითა და UNDP Georgia-ს ტექნიკური დახმარებით ENPARD-ის ფარგლებში თანადაფინანსებით 28,700 ლარის ღვინის ჩამოსასხმელი და გადამამუშავებელი ტექნიკური აღჭურვილობა მიიღო საჩუქრად.

გიორგი წილოსანი, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, სოციოლოგიის მიმართულების სტუდენტი. – ევროკომისიის საგანმანათლებლო პროგრამის (ერასმუს+-ის) ფარგლებში იყო გერმანიაში, ლაიპციგის უნივერსიტეტში, სოციალური მეცნიერებების და ფილოსოფიის ფაკულტეტზე, სადაც სწავლობდა სოციოლოგიის მიმართულებით. ამბობს, რომ ამ ერთმა წელმა უამრავი რამ ასწავლა. განათლებასთან ერთად ყველაზე ფასეულ გამოცდილებად დამოუკიდებლად ცხოვრებას და იმ ყოველდღიურ პრობლემებთან გამკლავებას მიიჩნევს, რაც მშობლიურ ქვეყანაში არ ხვდება. გიორგი ამბობს, რომ «ერასმუსი» კულტურის გაცვლაა, ხვდები უამრავ ადამიანს მსოფლიოს სხვადასხვა წერტილიდან, რაც ზრდის ფასდაუდებელი შესაძლებლობაა.

მარიამ ჯუჯულაშვილი, თსუ ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების მიმართულების სტუდენტი. „ერასმუს+“-ის პროგრამით პორტუგალიაში 10 თვე იყო. სწავლობდა ქალაქ ბრაგანსას პოლიტექნიკურ ინსტიტუტში, ინფორმაციული სისტემების განხრით. „დამოუკიდებლად ცხოვრების გამოცდილება, განსხვავებული კულტურის ხალხთან ურთიერთობა და სხვა ქვეყნის კულტურის გაცნობა პროგრამის მთავარ შედეგად მიაჩნია. ამბობს, რომ შესაძლებლობა მიეცა ენახა, რა კუთხით ასწავლიან მის პროფესიას სხვა უნივერსიტეტში და მონაწილეობა მიეღო სხვადასხვა საუნივერსიტეტო კვლევასა და ახალი სასწავლო მეთოდოლოგიის გამოცდაში, რისი შესაძლებლობაც აქამდე არ ჰქონდა. საუკეთესო წელი იყო ახალი მეგობრების შესაძენად.

ზურა გამთენაძე, თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი, პოლიტიკის მეცნიერების მიმართულების სტუდენტი – 2016 წლის გაზაფხულის სემესტრი იყო გერმანიაში, კერძოდ იენაში, ფრიდრიხ შილერის სახელობის უნივერსიტეტში პოლიტიკის მეცნიერების სპეციალობით. ეს პროგრამა მოიცავდა ხუთთვიან სწავლებას. ამბობს, რომ ევროპული და ამერიკული სწავლების ხარისხი ქართულთან შედარებით უკეთესია. თუმცა, ამ ფაქტორთან ერთად, მისთვის მნიშვნელოვანი იყო ახალ კულტურულ გარემოში ცხოვრების შესაძლებლობა, სადაც საშუალება მიეცა ხშირ შემთხვევაში რადიკალურად განსხვავებული სოციუმის წევრებთან ჰქონოდა ურთიერთობა. მისი აზრით, ეს მნიშვნელოვანია პროგრესული საზოგადოების ჩამოყალიბებისთვის. თავისუფალ დროს, ხშირად, ატარებდა ახალ მეგობრებთან. ამ ყველაფერმა უდიდესი პოზიტიური ემოციებით დამუხტა და მოტივაცია გაუორმაგა. ყველა სტუდენტს, რომელსაც ევროპაში სწავლის სურვილი აქვს, ურჩევდს, რომ ეს საუკეთესო შესაძლებლობა ხელიდან არ გაუშვას, მაქსიმალური ინვესტიცია ჩადოს საკუთარ განათლებაში, რათა შემდეგ უფრო მეტი პერსპექტივა გაუჩნდეთ ცხოვრებაში.

- ევროკავშირი ეხმარება საქართველოს **ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი ვაჭრობიდან სარგებლის მიღებაში**. ხდება დახმარების გაწევა მცირე და საშუალო ბიზნესისთვის და იმისთვის, რომ ქართულმა საწარმოებმა შეძლონ ევროპული სტანდარტის მიღწევა. ორი წლის განმავლობაში ევროკავშირის დახმარებით 100-მა კომპანიამ უკვე მიიღო ტექნიკური დახმარება. რეგიონებში იქმნება საინფორმაციო ცენტრები ევროკავშირთან ვაჭრობის შესახებ, ხოლო ევროკავშირის თანხებით გამაგრებული საკრედიტო ხაზები ფინანსურად დაეხმარება მცირე და საშუალო საწარმოებს.
- ევროკავშირი ეხმარება საქართველოს **განათლების სისტემის** მოდერნიზებაში ბოლონიის პროცესის ფარგლებში მიმდინარე რეფორმების კონტექსტში.მიმდინარეობს განათლების ხარისხის ზრდა, უნარების განვითარება, განსაკუთრებით ევროკავშირსა და საქართველოს შორის სტუდენტების, მასწავლებლების, მკვლევრების, აკადემიური პერსონალის და ახალგაზრდობის მიმოსვლის **(მობილობის)** წახალისების ხარჯზე. 1700 სტუდენტსა და თანამშრომლს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს მობილობით; 5300 ახალგაზრდას შეუძლია მონაწილეობა მიიღოს ევროპელ პარტნიორებთან ერთად ჩატარებულ ერთობლივ ღონისძიებებში.

ევროკავშირის მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების მხარდაჭერა მნიშვნელოვან როლს ასრულებს ხელისუფლებების ანგარიშვალდებულების გაზრდის, ადამიანის უფლებების დაცვისა და ადგილობრივი განვითარების ხელშეწყობისთვის აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში. 2014-დან 2016 წლამდე ევროკავშირმა რეგიონის მასშტაბით 260-მდე ახალი პროექტი დააფინანსა და ეს დახმარება 600-ზე მეტმა ორგანიზაციამ მიიღო.

არასამთავრობო ორგანიზაციები საქართველოში ევროკავშირისგან დახმარებას ძირითადად ევროპული სამეზობლო ინსტრუმენტისა – ENI (გეოგრაფიული ინსტრუმენტი) და ევროპული ინიციატივა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებებისთვის – EIDHR (თემატური ინსტრუმენტი) საშუალებით იღებენ.

ნაწილი II

სამოქალაქო საზოგადოების როლი

სამოქალაქო საზოგადოების როლი და ჩართულობის მექანიზმები – მონიტორინგის და ადვოკატირების მიმართულებით

სამოქალაქო სექტორის როლი პოლიტიკის შემუშავების პროცესში

სამოქალაქო სექტორი ხშირად გადამწყვეტ როლს ასრულებს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის, კანონის უზენაესობის, კარგი მმართველობის, საბაზრო ეკონომიკის და მდგრადი განვითარების ხელშეწყობის მიმართულებით.

საქართველოს სამოქალაქო საზოგადოება დიდი ხანია ქვეყანაში მიმდინარე ცვლილებების ერთ-ერთი მამოძრავებელი ძალაა. შესაბამისად, არასამთავრობო ორგანიზაციებს დაუგროვდათ საჯარო პოლიტიკის შემუშავებაში ჩართულობის, ცვლილებების ადვოკატირებისა და სახელმწიფოს საქმიანობის მონიტორინგის ინტენსიური პრაქტიკული გამოცდილება.

პოლიტიკის შემუშავების პროცესში ეფექტური ჩართულობის უზრუნველსაყოფად, აუცილებელია კიდევ ერთხელ გავიაზროთ საჯარო პოლიტიკის შემუშავების ციკლური ხასიათი, რაც როგორც წესი, შემდეგი საფეხურებისგან შედგება:

პოლიტიკურ დღის წესრიგს აღმასრულებელი და საკანონმდებლო ხელისუფლების წარმომადგენლები ადგენენ. თუმცა, ამ საწყის ეტაპზევე აქვთ არასამთავრობო ორგანიზაციებს საკუთარი როლი. პირდაპირი და არაპირდაპირი ადვოკატირების შედეგად შესაძლებელია, დღის წესრიგი უფრო ამბიციური გახდეს და მასში მეტად ასახოს მოსახლეობის საჭიროებები.

პოლიტიკის ფორმულირების ეტაპზე სამოქალაქო სექტორმა უნდა იაქტიუროს პრობლემების იდენტიფიცირების, მათი გადაჭრის ოპტიმალური გზების გამოკვეთისა და სასურველი წინადადების გასამყარებლად მტკიცებულებების წარმოჩენის მიმართულებით.

პოლიტიკის დამტკიცებისას გადაწყვეტილების ფორმა განსხვავდება და შეიძლება იყოს მაგალითად ბრძანება, დადგენილება, კანონპროექტი და ა.შ. არასამთავრობო ორგანიზაციები, თავის მხრივ, ხშირად მონაწილეობენ პარლამენტის საკომიტეტო მოსმენებში, როგორც კონკრეტული კანონპროექტის თანაავტორები, ავტორები ან ზოგადად დაინტერესებული მხარეები. ამ შემთხვევაში, აუცილებელია სანდო მონაცემების, საერთაშორისო გამოცდილების, პრეცედენტული სამართლის, კონვენციებისა და საერთაშორისო შეთანხმებების სიღრმისეული ანალიზი და საკუთარი რეკომენდაციების ლაკონურად და სტრუქტურირებულად ჩამოყალიბება. მაღალკვალიფიციური ინტერვენცია გაართულებს თქვენი პოზიციის უგულებელყოფას და წარმატების წინაპირობა იქნება.

ზოგადად, არასამთავრობო ორგანიზაციების ჩართულობა ყველაზე მაღალი **პოლიტიკის განხორციელების ეტაპზეა**. ეს ფაზა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია დაგეგმილი მიზნის მისაღწევად. აქედან გამომდინარე, სამოქალაქო სექტორი ხშირად პოლიტიკის დამტკიცების პარალელურადვე იწყებს მონიტორინგს, თუ როგორ მიმდინარეობს პოლიტიკის პრაქტიკაში განხორციელება. გარკვეული დროის შემდეგ კი ახდენს პოლიტიკის შეფასებას და ამოწმებს, რამდენად მოხდა დასახული მიზნების, ამოცანებისა და შედეგების მიღწევა. შეფასების შედეგიდან გამომდინარე, სამოქალაქო სექტორი ამზადებს რეკომენდაციებს პოლიტიკის შემდგომი გაუმჯობესების მიზნით.

სამოქალაქო სექტორის ჩართულობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში სხვადასხვაგვარია მონაწილეობის ინტენსივობიდან გამომდინარე. ძირითადად შეიძლება შემდეგი ოთხი დონის გამოყოფა:



ინფორმაციის მიწოდება პრაქტიკულად გამორიცხავს ჩართულობას და მხოლოდ ცალმხრივ კომუნიკაციას გულისხმობს.

რაც შეეხება **კონსულტაციას**, საჯარო სექტორმა შესაძლოა სთხოვოს არასამთავრობო ორგანიზაციებს პოზიციის დაფიქსირება კონკრეტული საკითხის შესახებ. ინიციატორი ამ შემთხვევაში ხელისუფლებაა, თუმცა, გვაქვს პრეცენდენტები, როცა კონსულტაციები სამოქალაქო სექტორის მოთხოვნით იმართება, მაგალითად, კონსულტაციები ასოცირების დღის წესრიგის შესრულებასთან დაკავშირებით, როგორც აღმასრულებელი, ისე საკანონმდებლო ხელისუფლების დონეზე.

დიალოგის ინიციატივა შეიძლება დადგეს, როგორც ხელისუფლების, ისე სამოქალაქო სექტორის მხრიდან. დიალოგს შესაძლოა ჰქონდეს ორმხრივი ან მრავალმხრივი განზომილება და საერთო მიზნის მისაღწევად ან ინტერესებისათვის ქმნიდეს ერთჯერადი ან მუდმივი კომუნიკაციის მექანიზმს.

რაც შეეხება **პარტნიორობას**, ეს გადაწყვეტილების მიღების პროცესში სამოქალაქო სექტორის ჩართულობის ყველაზე მაღალი დონეა. აღსანიშნავია, რომ პარალელურად არასამთავრობო

ორგანიზაციებმა არ უნდა დაკარგონ დამოუკიდებლობა და კამპანიების განხორციელების შესაძ-ლებლობა. პარტნიორობა შეიძლება მოიცავდეს ისეთ საქმიანობებს, როგორიცაა:

- მომსახურების გაწევა;
- ფორუმების ჩამოყალიბება;
- გადაწყვეტილების მიმღები ერთობლივი ორგანოების შექმნა და ა.შ.

ასოცირების შესახებ შეთანხმება საქართველოს განვითარების ყველაზე სრულყოფილი, დეტა-ლური და დროში გაწერილი გეგმაა, შესაბამისად, ძალიან მნიშვნელოვანია შესრულების პრო-ცესზე სათანადო სამოქალაქო ზედამხედველობის განხორციელება. მონიტორიგნი შესაძლოა გულისხმობდეს როგორც პროცესის კონტროლს და რეკომენდაციების მომზადებას, ისე ფართო საზოგადოებასთან მუშაობასა და მის ინფორმირებას. მონიტორინგის განსახორციელებლად სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შეუძლიათ ჩაატარონ სიღრმისეული ინტერვიუები სფეროში მომუშავე სახელმწიფო მოხელეებთან და სამოქალაქო აქტივისტებთან, მოახდინონ საკანონმდებლო ცვლილებების და სახელმწიფო სტრატეგიების ანალიზი, შეაფასონ სხვადასხვა დღის წესრიგის განხორციელების პროცესი. პროცესს ხელს უწყობს საქართველოს ზოგადი ად-მინისტრაციული კოდექსის III თავი, რომელიც ინფორმაციის თავისუფლების საკითხებს არეგუ-ლირებს. საჯარო ინფორმაცია შესაძლებელია გამოთხოვნილ იქნას, როგორც წერილობით, ისე ელექტრონულად კონკრეტული უწყების ვებ-გვერდის ან პორტალის www.my.gov.ge გამოყენები-თა და საჯარო ინფორმაციის გაცემაზე პასუხისმგებელ პირთან მიწერით. წერილის მომზადებისას, აუცილებელია მოთხოვნის სწორად და გარკვევით ჩამოყალიბება, სხვა შემთხვევაში, მოპასუხე მხარეს საშუალება ეძლევა, თავი აარიდოს ამომწურავი პასუხის გაცემას და შემოიფარგლოს ზო-გადი პასუხით.

ადვოკატირება ევროინტეგრაციის პროცესში

ადვოკატირება არის საზოგადოებრივი ინტერესების დაცვის მეთოდი, რომლის გამოყენება შესაძ-ლებელია საზოგადოებისათვის სასარგებლო ცვლილებების ინიცირებისათვის. ეს არის გარკვე-ული მიზნის, იდეისა თუ საჯარო პოლიტიკის კურსის დაცვა ან მხარდაჭერა. ადვოკატირება მო-იცავს ისეთი სახის საქმიანობას, როგორიცაა:

- კვლევა;
- ცნობიერების ამაღლება;

- ინფორმაციის გაცვლა;
- ქსელური მუშაობა;
- საზოგადოების მობილიზაცია და ლობირება.

ადვოკატირების სამიზნე შეიძლება იყოს პოლიტიკის შემუშავებაში ჩართული პირები, საერთაშორისო ორგანიზაციები, ფინანსური ინსტიტუტები, საეკლესიო ლიდერები და ა.შ.

ევროინტეგრაციის პროცესში ადვოკატირება და გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართვა უპირველესად ეროვნულ და ევროკავშირის დონეზე ხორციელდება. ორივე დონეზე ადვოკატირებისათვის, მნიშვნელოვან ჩარჩოს ქმნის 2008 წლის 3 დეკემბერს გამოქვეყნებული ევროკომისიის კომუნიკე „აღმოსავლეთ პარტნიორობის" შესახებ, რომელიც ხაზს უსვამს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა) მიმდინარე რეფორმებში სამოქალაქო სექტორის ჩართულობის მნიშვნელობას. შესაბამისად, ლოგიკურია, რომ ევროკავშირმა აღმოსავლეთ პარტნიორობის ფორმატის ინიცირებისას, განსაკუთრებული პრიორიტეტი აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნების სამოქალაქო სექტორის აქტიური მონაწილეობის წახალისებას, საზოგადოებრივ ორგანიზაციებს შორის კონტაქტების გაღრმავებასა და ეროვნულ ხელისუფლებებთან მათი დიალოგის მხარდაჭერას მიანიჭა. ზემოაღნიშნულის რეალიზების მიზნით, საფუძველი ჩაეყარა **აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმს** (http://eap-csf.eu/), რომელიც ექვსივე ქვეყნის საზოგადოებრივი ორგანიზაციების წარმომადგენლებს აერთიანებს.

ევროკომისიის წინადადება სამოქალაქო ფორუმის შექმნის შესახებ დამტკიცდა პრაღის სამიტზე, 2009 წლის 7 მაისს, აღმოსავლეთ პარტნიორობის ინიციატივის მიღებასთან ერთად, როგორც ამ უკანასკნელის შემადგენელი ნაწილი.

საზოგადოებრივი ორგანიზაციები იკრიბებიან წელიწადში ერთხელ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმზე, რომელიც თავს უყრის ევროკავშირისა და პარტნიორი ქვეყნების 200-ზე მეტ წარმომადგენელს. სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მიერ დასახული ამოცანების შესრულებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობს მმართველი კომიტეტი, რომელიც შედგება 19 წევრისგან: პარტნიორი ქვეყნის წარმომადგენელი 6 ეროვნული კოორდინატორი, სამუშაო ჯგუფის წარმომადგენელი 10 კოორდინატორი და 3 კოორდინატორი ევროკავშირის ქვეყნებიდან. მმართველი კომიტეტი აირჩევა ყოველწლიურად სამოქალაქო საზოგადოების ფორუმზე და მას შემდეგი პასუხისმგებლობები აკისრია:

- მონაწილეობა ოფიციალური თემატური პლატფორმების შეკრებებში;
- კომუნიკაცია სამუშაო ჯგუფებთან;
- ეროვნულ პლატფორმათა განვითარების მხარდაჭერა;
- ინფორმაციის გაცვლის უზრუნველყოფა და ა.შ.

2013 წლის იანვრიდან საქმიანობა დაიწყო ფორუმის ახალმა სტრუქტურამ – **სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის მმართველი კომიტეტის სამდივნომ**. მისი მიზანია ფორუმის მიერ დასახული ამოცანების შესრულების ხელშეწყობა. სამდივნოს ყოველდღიური საქმიანობა მმართველი კომიტეტის და, ზოგადად, ფორუმის მუშაობის ხელშეწყობაში მდგომარეობს და იგი სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საინფორმაციო, საკოორდინაციო და ექსპერტული ცოდნის ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლის ფუნქციას ასრულებს. სამდივნო ხელს უწყობს ინფორმირებულობის ზრდას ფორუმის, ეროვნული პლატფორმების და სამუშაო ჯგუფების საქმიანობათა შესახებ და უზრუნველყოფს სამოქალაქო საზოგადოების მეტ ჩართულობას აღმოსავლეთ პარტნიორობის რეგიონში მიმდინარე რეფორმების პროცესში.

სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქმიანობა მოიცავს აღმოსავლეთის პარტნიორობის ხუთ თემატურ პლატფორმას და, შესაბამისად, ხუთ სამუშაო ჯგუფს:

- დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კარგი მმართველობა და სტაბილურობა
- ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან თანხვედრა
- გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილება და ენერგოუსაფრთხოება
- ხალხთაშორისი კავშირების წახალისება
- დასაქმება, შრომითი ურთიერთობები და სოციალური პასუხისმგებლობა

აღსანიშნავია, რომ აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებიდან თითოეული სამუშაო ჯგუფის წარმომადგენლები წელიწადში მინიმუმ ერთხელ იკრიბებიან ბრიუსელში და განიხილავენ რეგიონში არსებული გამოწვევების, მართავენ შეხვედრებს სხვადასხვა ინსტიტუტების წარმომადგენლებთან და აქვთ ერთობლივი რეზოლუციის ან განცხადების მიღების საშუალება.

თავის მხრივ, ასოცირების შესახებ შეთანხმება დამატებით გარანტიებს ქმნის სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობისათვის და პრეამბულაშივე უსვამს ხაზს საქართველოს პოლიტიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ინსტიტუციური განვითარების პროცესში, საერთო ინტერესთა სფეროების ფართო სპექტრში მრავალი მიმართულებით თანამშრომლობას, მათ შორის, სამოქალაქო საზოგადოების განვითარების კუთხით. გარდა ამისა, შეთანხმების მე-20 თავი ეხება თანამშრომლობას სამოქალაქო საზოგადოების სფეროში. მხარეები თანხმდებიან, რომ ხელს შეუწყობენ დიალოგისა და თანამშრომლობის განვითარებას ორივე მხარის სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებს შორის, როგორც ევროკავშირსა და საქართველოს შორის ურთიერთობების განუყოფელ ნაწილს. რაც შეეხება სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმას, ხელშეკრულებაში მას ორი – 412-ე და 413-ე მუხლი (შეთანხმების კარი VIII, ინსტიტუციური, ზოგადი და დასკვნითი დებულებები) ეთმობა.

მუხლი 412

1. მხარეები ასევე ხელს შეუწყობენ თავიანთი სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა რეგულარულ შეხვედრებს, წინამდებარე შეთანხმების იმპლემენტაციის თაობაზე მათი ინფორმირებისა და მათი ჩართულობის უზრუნველყოფის მიზნით;
2. შესაბამისად, იქმნება ევროკავშირი-საქართველოს სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა. ეს უკანასკნელი წარმოადგენს ფორუმს შეხვედრისა და აზრთა გაცვლა-გამოცვლისთვის და შედგება ევროკავშირის მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან, ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის წევრების ჩათვლით, და საქართველოს მხრიდან სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებისგან, „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის ეროვნული პლატფორმის წარმომადგენელთა ჩათვლით. კომიტეტი შეიკრიბება მის მიერ განსაზღვრული ინტერვალების შესაბამისად;
3. სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა შეიმუშავებს საკუთარ საპროცედურო წესებს;
4. სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმას მონაცვლეობით უხელმძღვანელებენ ევროპის ეკონომიკური და სოციალური კომიტეტის წარმომადგენლები და საქართველოს მხრიდან – სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლები, საპროცედურო წესებით დადგენილი დებულებების შესაბამისად.

მუხლი 413

1. სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმა ინფორმირებული იქნება ასოცირების საბჭოს[1] გადაწყვეტილებებისა და რეკომენდაციების შესახებ;
2. სამოქალაქო საზოგადოების პლატფორმას შეუძლია ასოცირების საბჭოსათვის რეკომენდაციების მიცემა;
3. ასოცირების კომიტეტი და საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი[2] უზრუნველყოფენ სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებთან რეგულარული კონტაქტების დამყარებას, რათა შეიტყონ მათი მოსაზრებები წინამდებარე შეთანხმების მიზნების მიღწევასთან დაკავშირებით

ასოცირების შეთანხმების 412-ე მუხლი ითვალისწინებს სამოქალაქო საზოგადოების ორმხრივი თანამშრომლობის პლატფორმის დაარსებას. თუმცა, აღსანიშნავია, რომ პლატფორმის სტრუქტურასთან და შემადგენლობასთან დაკავშირებით განსხვავებული მოსაზრებები არსებობს, გარკვეული საკითხები გადაწყვეტას საჭიროებენ და შესაბამისად, ნაკლებად ხერხდება ევროპის ეკონომიკურ და სოციალურ კომიტეტთან თემების ადვოკატირება.

როგორ მოვახდინოთ ადვოკატირება და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში ჩართვა?

ეროვნულ დონეზე ადვოკატირების მიმართულებით მნიშვნელოვანი როლი აკისრია აღმოსავლეთ პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას. პლატფორმა 2010 წლის ნოემბერში დაფუძნდა და მისი მისიაა საქართველოს ევროპასთან ინტეგრაციის პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის გაზრდა და კონსოლიდაცია,

---

[1] ასოცირების საბჭო წარმოადგენს უმაღლეს ფორმალურ ორგანოს, რომელიც საქართველო-ევროკავშირის ასოცირების შეთანხმების ფარგლებში შეიქმნა ხელშეკრულების განხორციელების მონიტორინგისა და საერთო ინტერესებში არსებული საკითხების განხილვის მიზნით. საქართველოსა და ევროკავშირს შორის ასოცირების საბჭოს საქართველოს მხარის შემადგენლობის დამტკიცების შესახებ 2014 წლის 3 დეკემბერს მიღებულ იქნა მთავრობის განკარგულება #2155, რომლის თანახმადაც საქართველოს მხრიდან საბჭოს პრემიერ მინისტრი თავმჯდომარეობს და მასში ყველა მინისტრი ერთიანდება.

[2] ევროკავშირი-საქართველოს საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი შედგება, ერთი მხრივ, საქართველოს პარლამენტის წევრების და მეორე მხრივ ევროპარლამენტის წევრებისაგან. ეს ორგანო ერთერთია იმ ინსტიტუციური ჩარჩოდან, რომელსაც ასოცირების ხელშეკრულება ადგენს ევროკავშირსა და საქართველოს შორის თანამშროლობისთვის, აღმასრულებელ ხელისუფლებაში მოქმედი ასოცირების საბჭოსა და ასოცირების კომიტეტებთან ერთად. ასოცირების ხელშეკრულების თანახმად (კარი VIII, თავი I, მუხლი 410), საპარლამენტო ასოცირების კომიტეტი ხელს უწყობს საპარლამენტო დიპლომატიის განვითარებას და ევროპარლამენტსა და საქართველოს პარლამენტს შორის კავშირის განმტკიცებას.

დემოკრატიული ღირებულებების პოპულარიზაცია და მოქალაქეთა ინტერესების ადვოკატირება ქვეყანაში საყოველთაო კეთილდღეობის უზრუნველსაყოფად.

პლატფორმის სტრატეგიული მიზნებია:

- ასოცირების შეთანხმების ფარგლებში აღებული ვალდებულებების შესრულების მონიტორინგი და პოზიტიური ცვლილებების ადვოკატირება, როგორც ეროვნულ, ისე ევროპულ დონეზე საჯარო, სამოქალაქო საზოგადოებასა და კერძო სფეროებს შორის დიალოგის ხელშეწყობის გზით;
- საქართველოს ევროპული ინტეგრაციის მნიშვნელობის შესახებ ფართო საზოგადოების ინფორმირება მედიასთან მჭიდრო თანამშრომლობის გზით;
- პლატფორმის ფუნქციონირების ეფექტურობის უზრუნველყოფა დასახული მიზნების მისაღწევად.

ნებისმიერ საზოგადოებრივ ორგანიზაციას თუ გაერთიანებას (პროფესიული კავშირები, დამსაქმებელთა ორგანიზაციები, პროფესიული გაერთიანებები, არასამთავრობო ორგანიზაციები, ანალიტიკური ცენტრები, ადგილობრივი და საერთაშორისო არაკომერციული ორგანიზაციები) შეუძლია გაწევრიანდეს სამოქალაქო საზოგადოების ფორუმში გარკვეული კრიტერიუმების დაკმაყოფილების შემთხვევაში. აღმოსავლეთ პარტნიორობის ეროვნული პლატფორმის წევრობის მსურველი ორგანიზაცია უნდა აკმაყოფილებდეს შემდეგ კრიტერიუმებს:

- იყოს საქართველოში რეგისტრირებული ადგილობრივი და საერთაშორისო არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი, რომელიც იზიარებს აღმოსავლეთ პარტნიორობის ეროვნული პლატფორმის მიზნებსა და ღირებულებებს, გარდა იმ პირებისა, რომელთა დამფუძნებელი საჯარო სამართლის იურიდიული პირია;
- იყოს რეგისტრირებული საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად აღმოსავლეთ პარტნიორობის ეროვნული პლატფორმის წევრობის შესახებ წერილობითი განცხადების წარდგენის მომენტისთვის არაუგვიანეს 2 წლისა;
- გააჩნდეს აღმოსავლეთ პარტნიორობის ხუთი თემატური პლატფორმის რომელიმე სფეროში/სფეროებში მუშაობის არანაკლებ 1 წლიანი გამოცდილება;
- გააჩნდეს შესაბამისი ადამიანური რესურსი პლატფორმის საქმიანობაში სტაბილური მონაწილეობისთვის.

განმცხადებელი საკოორდინაციო საბჭოს მიმართავს წერილობითი განაცხადით პლატფორმაში გაწევრიანების შესახებ (იხ. http://eap-csf.ge). ამისთვის განმცხადებელი ორგანიზაცია ავსებს განაცხადის ფორმას და ორგანიზაციის ხელმძღვანელის/უფლებამოსილი წარმომადგენლის ხელ-

მოწერითა და ორგანიზაციის ბეჭდით ამოწმებს მას. შევსებული განაცხადის ფორმა ეგზავნება პლატფორმის სამდივნოს შემდეგ მისამართზე: np@ei-lat.ge

განმცხადებელი ორგანზაციის მიერ განაცხადის ფორმაში მითითებული საკონტაქტო პირები არ შეიძლება იყვნენ საჯარო მოხელეები ან პოლიტიკური პარტიების თანამდებობის პირები.

ეროვნულ პლატფორმაში გაწევრიანების მსურველი ორგანიზაცია უნდა მონაწილეობდეს სულ ცოტა ერთი სამუშაო ჯგუფის საქმიანობაში (დემოკრატია, ადამიანის უფლებები, კარგი მმართველობა და სტაბილურობა; ეკონომიკური ინტეგრაცია და ევროკავშირის პოლიტიკასთან თანხვედრა; გარემოს დაცვა, კლიმატის ცვლილება და ენერგოუსაფრთხოება და ხალხთაშორისი კავშირების წახალისება), ორგანიზაციის საქმიანობის სფეროსა და გამოცდილების შესაბამისად.

რაც შეხეება DCFTA-ს განხორციელების პროცესში საზოგადოების მეტ ჩართულობას, ამის უზრუნველსაყოფად 2015 წლიდან საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში შეიქმნილია ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) საკონსულტაციო ჯგუფი.

საკონსულტაციო ჯგუფი არის სამინისტროს სათათბირო ორგანო, რომლის მთავარი მიზანია DCFTA-ს ეფექტიანი განხორციელების ხელშეწყობა და ამ პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა.

ჯგუფი დაკომპლექტებულია საქართველოში მოქმედი ასოციაციებისა და ბიზნესის წარმომადგენლებით, კერძოდ:

- საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო;
- საქართველოს ბიზნეს ასოციაცია;
- საქართველოს დამსაქმებელთა ასოციაცია;
- საქართველოს პროფესიული კავშირების გაერთიანება;
- საქართველოს მცირე და საშუალო საწარმოთა ასოციაცია;
- ევროკავშირი-საქართველოს ბიზნეს საბჭო;
- საქართველოს სავაჭრო-სამრეწველო პალატა;
- აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმი -საქართველოს ეროვნული პლატფორმა;
- საერთაშორისო სავაჭრო პალატა.

ჯგუფს ხელმძღვანელობს თავმჯდომარე, რომელიც ირჩევა საბჭოს შემადგენლობის მიერ ერთხმად, წლიური როტაციის პრინციპით.

საკონსულტაციო ჯგუფის ფუნქციები და ამოცანებია:

- DCFTA-თან დაკავშირებული განხორციელებული რეფორმების განხილვა;
- DCFTA-ს იმპლემენტაციასთან დაკავშირებით მიმდინარე და დაგეგმილ რეფორმებზე, საკანონმდებლო და ინსტიტუციურ ცვლილებებზე კონსულტაციების გაწევა;
- DCFTA-ს მოთხოვნებთან დამსაქმებლების, დასაქმებულების და მომხმარებლების ადაპტაციის პროცესზე კონსულტაციების გაწევა;
- DCFTA-ს განხორციელების სამოქმედო გეგმისა და შესაბამისი ანგარიშების განხილვა.

აუცილებელია აღინიშნოს, რომ **ევროკავშირის დონეზე** პოლიტიკურ გადაწყვეტილებებსა და კანონშემოქმედებაზე გავლენის მოპოვება ძალიან რთულია. საქმე ეხება მსოფლიოს მთლიანი შიდა პროდუქტის 20%-ის მწარმოებელ 500 მილიონზე მეტ ადამიანს. გარდა ამისა, ევროკავშირის მმართველობის დინამიკური და მრავალმხრივი ბუნების გათვალისწინებით, გამოწვევაა ევროკავშირის ინსტიტუტების იმ წარმომადგენლების სწორი იდენტიფიცირება, რომლებთან მუშაობაც აუცილებელია ევროკავშირის წევრ ქვეყნებში გადაწყვეტილების მიმღებ პირებსა და საზოგადოებაზე სასურველი გავლენის მოსახდენად. ამასთან, არანაკლებ მნიშვნელოვანი პოლიტიკური კონტექსტისა და სხვადასხვა ინტერესთა ჯგუფის შესახებ ინფორმაციის მოპოვებაა.

ბრიუსელში ადვოკატირებისათვის აუცილებელია შემდეგი რეკომენდაციების გათვალისწინება:

- შეარჩიეთ სწორი აუდიტორია;
- წარმოადგინეთ მკაფიოდ ჩამოყალიბებული რეკომენდაციები;
- ზუსტად გათვალეთ შერჩეულ პირებთან კონტაქტის დრო, რათა ის თანხვედრაში იყოს პოლიტიკის ჩამოყალიბების ან გადაწყვეტილების მიღების პროცესთან.

ევროკავშირის დონეზე ადვოკატირებისათვის, აუცილებელია იმის ცოდნა, თუ როგორ მუშაობს ევროკავშირის ინსტიტუტები და როგორია მათი როლი გადაწყვეტილებების მიღებისას. საქართველოს კონტექსტში, პირველ რიგში, მნიშვნელოვანია შემდეგ ინსტიტუტებთან მუშაობა:

ევროკომისია – ევროკავშირის აღმასრულებელი ორგანო, რომელიც ტრადიციულად წარმოადგენს ადვოკატირებისა და ლობისტური საქმიანობის მთავარ სამიზნეს. სხვა ფუნქციებს შორის კუ-

რირებს ევროკავშირის საგარეო ურთიერთობების საკითხებს (მოლაპარაკებები საერთაშორისო ხელშეკრულებებისა და შეთანხმებების შესახებ; მოლაპარაკებების წარმოება ევროკავშირის გაფართოებასთან დაკავშირებით). ევროკომისია შედგება 28 კომისრისაგან. გარდა ამისა, კომისიის შემადგენლობაში შედის პრეზიდენტი და საგარეო საქმეთა და უსაფრთხოების პოლიტიკის საკითხებში ევროკავშირის უმაღლესი წარმომადგენელი, რომელიც ასევე ევროკომისიის ვიცე-პრეზიდენტია.

საქართველოსთან დაკავშირებული საკითხების წამოწევა ლოგიკურია ევროკომისიის ევროპული სამეზობლო პოლიტიკის და გაფართოებაზე მოლაპარაკებებისა და საგარეო ურთიერთობათა და უსაფრთხოების პოლიტიკის გენერალურ დირექტორატებთან. ადვოკატირებისას გასათვალისწინებელია, რომ ევროკომისია კოორდინირებას უწევს ფულად სახსრებს, რაც მათ შორის, საქართველოში განსახორციელებელი პროგრამებისა და პროექტებისთვის იხარჯება.

ევროპის პარლამენტი – ევროკავშირის ერთადერთი პირდაპირი წესით არჩეული ინსტიტუტი, რომელიც 751 წევრს ითვლის. ევროპის პარლამენტი ევროკავშირის ყველაზე პოლიტიზირებული ორგანოა პარტიული პოლიტიკის თვალსაზრისით. ის მოწყობილია საკუთარი წევრებისა და არჩეული პოლიტიკური პარტიების პოლიტიკური ორიენტაციის მიხედვით, უკიდურესი მემარცხენეებით დაწყებული, მწვანეების, სოციალ-დემოკრატების, ლიბერალების, ქრისტიან-დემოკრატების, კონსერვატორების, რეფორმისტების და უკიდურესი მემარჯვენეებით დამთავრებული. ევროპული პარლამენტის ფარგლებში ადვოკატირებისა და ლობირების წარმატებული განხორციელება ევროპარლამენტის ბევრ სხვადასხვა წევრთან ურთიერთობას გულისხმობს.

ევროპის პარლამენტის ფარგლებში მუშაობს **ევრონესტის საპარლამენტო ასამბლეა**, რომელიც წარმოადგენს აღმოსავლეთ პარტნიორობის პოლიტიკის საპარლამენტო განზომილებას. ევრონესტის ფარგლებში ევროკავშირსა და აღმოსავლეთ ევროპელ პარტნიორებს შორის იმართება მრავალმხრივი საპარლამენტო დიალოგი საერთო ინტერესის სფეროებში, როგორიცაა: მშვიდობა, სტაბილურობა, საკანონმდებლო ჰარმონიზაცია, ვაჭრობა, ენერგეტიკა, ხალხთა ურთიერთობა და სხვა.

ევრონესტის (აღმოსავლეთ პარტნიორობის) საპარლამენტო ასამბლეა შედგება 120 დეპუტატისაგან: 60 წევრი ევროპარლამენტიდან (ეს დელეგაცია ევროპარლამენტში 2009 წლის შემოდგომას შეიქმნა) და 10 დეპუტატისაგან თითოეული 6 პარტნიორი ქვეყნის პარლამენტებიდან: საქართველო, სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსი, მოლდოვა, უკრაინა. ევრონესტის ფარგლებში მოქმედებს ეკონომიკის, პოლიტიკის, ენერგეტიკისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტები.

ევრონესტის ფორმატში ბოლო ორი წელია აქტიურად არის ჩართული სამოქალაქო სექტორი. საქართველოდან ევრონესტის კონფერენციებში მოხსენებით გამოსულან მაგალითად „საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაციის“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველოს“, კავშირის „საფარი“ წარმომადგენლები, რომელთაც შეუჯამებიათ ასოცირების ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების შესრულება მართლმსაჯულების რეფორმის, კორუფციის წინააღმდეგ ბრძოლისა და თანასწორობის ხელშეწყობის მიმართულებით.

ასოცირების შესახებ შეთანხმების თაობაზე აზრთა გაცვლაგამოცვლის მიზნით, ევროპარლამენტისა და საქართველოს პარლამენტის წევრები ერთიანდებიან საპარლამენტო ასოცირების კომიტეტში. საპარლამენტო ასოცირების კომიტეტს შეუძლია, ასოცირების საბჭოსგან მოითხოვოს შესაბამისი ინფორმაცია შეთანხმების იმპლემენტაციასთან დაკავშირებით. კომიტეტის წევრები წელიწადში ორჯერ ხვდებიან ერთმანეთს. აღსანიშნავია, რომ კომიტეტს ჰყავს სამდივნო და სამოქალაქო სექტორს საშუალება აქვს, მასთან აწარმოოს კომუნიკაცია აქტუალურ და მწვავე საკითხებზე.

ადვოკატირების კუთხით ევროპარლამენტში ლოგიკურია კონტაქტის დამყარება „საქართველოს მეგობართა ჯგუფში“ გაერთიანებულ პარლამენტარებთან და ასევე, საქართველოს თემაზე ევროპარლამენტის მომხსენებელთან.

ევროპის საგარეო ურთიერთობათა სამსახური, რომელიც პრაქტიკულად ევროკავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროსა და დიპლომატიური კორპუსის ფუნქციას ასრულებს. ევროკავშირის დელეგაციები მესამე ქვეყნებში სწორედ ამ სამსახურს ექვემდებარებიან. გარდა ამისა, ისინი ასრულებენ შუამავლის როლს მესამე ქვეყნების მთავრობებსა და ევროკავშირს შორის, უზრუნველყოფენ მესამე ქვეყნებთან მოლაპარაკებებისათვის აუცილებელი ინფორმაციის მიწოდებას, უტარებენ კონსულტაციებს ევროკავშირის მოხელეებს მასპინძელი ქვეყნების თანამდებობის პირებთან შეხვედრამდე და სხვა.

ევროპის საგარეო ურთიერთობათა სამსახურს ჰყავს საქართველოსთან ურთიერთობების ოფიცერი. ოფიცრის საკონტაქტო ინფორმაცია საჯაროა და საჭიროების შემთხვევაში, შესაძლებელია პირდაპირ მიმართვა.

ზემოაღნიშნულ ინსტიტუტებთან მესიჯების მიწოდებაში შესაძლოა ის ორგანიზაციები დაგეხმარონ, ვინც ჩართულნი არიან „საქმიანობაში, რომლის მიზანიცაა პირდაპირი თუ ირიბი გავლენის მოპოვება ევროკავშირის ინსტიტუტების მიერ გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე და პოლიტიკის

ფორმულირებასა თუ გატარებაზე“ და შესაბამისად რეგისტრირებულნი არიან გამჭვირვალობის რეესტრში – http://ec.europa.eu/transparencyregister/public/homePage.do

ევროკავშირის საბჭოს აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის ქვეყნების სამუშაო ჯგუფი (COEST) – აღმოსავლეთ ევროპისა და ცენტრალური აზიის საკითხებზე მომუშავე ჯგუფი, რომელიც აღმოსავლეთ ევროპისა (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელორუსია, მოლდოვა, საქართველო, რუსეთი და უკრაინა) და ცენტრალური აზიის (ყაზახეთი, ყირგიზეთი, ტაჯიკეთი, თურქმენეთი და უზბეკეთი) ქვეყნებთან მართავს ევროკავშირის ურთიერთობების ყველა ასპექტს. ამასთან, მისი მუშაობა მოიცავს მრავალმხრივ თანამშრომლობასაც, როგორიცაა: ევროპის სამეზობლო პოლიტიკა, კერძოდ, აღმოსავლეთ პარტნიორობა.

ჩართულობის მექანიზმები ადგილობრივი და ცენტრალური ხელისუფლების დონეზე

ასოცირების შესახებ შეთანხმების 350-ე მუხლი მხარეებს შორის აჩენს ვალდებულებას, წაახალისონ ყველა დაინტერესებული მხარის, მათ შორის სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებისა და განსაკუთრებით, სოციალური პარტნიორების ჩართულობა პოლიტიკის განვითარებისა და რეფორმირების პროცესში და მხარეებს შორის არსებული თანამშრომლობის პროცესში.

საქართველოს მთავრობა თავის მხრივ, ხედავს ევროინტეგრაციის პროცესში სამთავრობო და არასამთავრობო სექტორის ძალისხმევის გაერთიანების აუცილებლობას და ამასთან, აღიარებს არასამთავრობო სექტორთან თანამშრომლობის პრიორიტეტულობას, რომელიც მრავალი მიმართულებით არის ჩართული რეფორმების განხორციელებაში და დემოკრატიული, თანამედროვე და განვითარებული ქვეყნის მშენებლობაში შეაქვს წვლილი.

ცენტრალურ დონეზე ადვოკატირების სტრატეგიის შემუშავებისას გასათვალისწინებელია 2016 წლის 18 ივლისის საქართველოს მთავრობის დადგენილება #336 საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის დებულების დამტკიცების შესახებ. კომისიის უფლება-მოვალეობების მუხლში მითითებულია, რომ:

(გ) კომისია უფლებამოსილია, მოისმინოს და განიხილოს სამოქალაქო საზოგადოების სახელით წარდგენილი ასოცირების შესახებ შეთანხმებასა და მის ღრმა და ყოვლისმომცველ თავისუფალ სავაჭრო სივრცის კომპონენტთან უშუალოდ დაკავშირებული წინადადებები და პოლიტიკის დოკუმენტები; და (დ) კომისიის თავმჯდომარის გადაწყვეტილებების შესაბამისად, კომისიის კომ-

პეტენციის ფარგლებში, კონკრეტული რეკომენდაციების მომზადების მიზნით, სამინისტროების, პარლამენტისა და სხვა სახელმწიფო უწყებების, არასამთავრობო ორგანიზაციებისა და ბიზნესის წარმომადგენლებისაგან საჭიროების შემთხვევაში შექმნას მუდმივმოქმედი და დროებითი კომისიები და სამუშაო ჯგუფები, უზრუნველყოს მათი საქმიანობის კოორდინაცია. კომისია მინისტრთა კაბინეტს აერთიანებს და მისი თავმჯდომარე საქართველოს პრემიერ-მინისტრია. რეგლამენტის თანახმად კომისია კვარტალურად უნდა იკრიბებოდეს.

გარდა ამისა, აღსანიშნავია, **საგარეო საქმეთა მინისტრის რეგულარული, ყოველკვარტალური შეხვედრები სამოქალაქო სექტორისა და მედიის წარმომადგენლებთან.** ამ შეხვედრების ფორმატი ითვალისწინებს კითხვა-პასუხის რეჟიმს და იძლევა მწვავე საკითხებზე ყურადღების გამახვილების საშუალებას.

რაც შეეხება სხვა სამინისტროებს, თითოეულ სამინისტროში არსებობს სამმართველო, ან დეპარტამენტი, რომელსაც ევროკავშირთან ინტეგრაციის საკითხები ეხება. ზოგადად, ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი უმნიშვნელოვანს როლს ასრულებდა ასოცირების ხელშეკრულების შესრულების ყოველწლიური სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესში სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობის კუთხით, რაც პროცესს გამჭვირვალესა და ინკლუზიურს ხდიდა. 2017 წლის სამთავრობო სტრუქტურის რეფორმირების გეგმის მიხედვით ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი საგარეო საქმეთა სამინისტროს ნაწილი ხდება და ასოცირების ხელშეკრულების შესრულების პროცესს სწორედ აღნიშნული უწყება გაუწევს ზედამხედველობას.

ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების მონიტორინგის მიზნით, შექმნილია:



ქვეკომიტეტები იკრიბებიან საჯარო მოხელეების დონეზე და განიხილავენ კონკრეტულ სფეროსთან დაკავშირებულ საკითხებს. სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შეუძლიათ გამოითხოვონ შეხვედრების ოქმები, რათა ზუსტი ინფორმაცია ჰქონდეთ შეხვედრებზე განხილულ საკითხებთან დაკავშირებით.

ადვოკატირებისა და მონიტორინგის მიმართულებით, მნიშვნელოვანი დოკუმენტებია საქართველო-ევროკავშირის ასოცირების დღის წესრიგი და ასოცირების დღის წესრიგის განხორციელების ეროვნული სამოქმედო გეგმები.

ასოცირების დღის წესრიგი წარმოადგენს ასოცირების შესახებ შეთანხმებით აღებული ვალდებულებების პრიორიტეტული საკითხების გეგმას, რაც საქართველო-ევროკავშირის ერთობლივი მოლაპარაკების საგანია. ამ გეგმით ხდება ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელებისთვის მომზადება და მისი ეფექტიანი იმპლემენტაციის ხელშეწყობა. რაც შეეხება **ეროვნულ სამოქმედო გეგმას**, ის ერთწლიანი დოკუმენტია და მთავრობის მიერ მუშავდება.

ზემოაღნიშნული ორი დოკუმენტის მომზადების პროცესში ძალზედ მნიშვნელოვანია სამოქალაქო სექტორის მხრიდან აქტიური ჩართულობა და კვალიფიციური რეკომენდაციების მიწოდება.

2016 წლის მანძილზე ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის საკითხებში სახელმწიფო მინისტრის აპარატი და საგარეო საქმეთა სამინისტრო რეგულარულად ხვდებოდა დაინტერესებულ არასამთავრობო ორგანიზაციებს, მოლაპარაკებების პროცესში საზოგადოებრივი აზრისა და ინტერესების გათვალისწინების მიზნით. **სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლების დამსახურებაა, რომ** 2017-2020 წლების ასოცირების დღის წესრიგი მეტად ამბიციურია, ვიდრე 2014-2016 წლების. განსაკუთრებით აღსანიშნავია დადებითი თანამშრომლობა ბავშვთა უფლებების და თანასწორობის მიმართულებით. უფრო კონკრეტულად, ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ მიერ მხარდაჭერილი არაფორმალური კოალიციის მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და მიწოდებული რეკომენდაციების შესაბამისად, ასოცირების დღის წესრიგში სიტყვა-სიტყვით გადავიდა მართლმსაჯულების თემაზე 15-დან 11 რეკომენდაცია, კორუფციის თემაზე 12-დან 6 რეკომენდაცია, წამებასა და არასათანადო მოპყრობაზე 5-დან 4 რეკომენდაცია, თანასწორ მოპყრობაზე 4-დან 3 რეკომენდაცია, ბავშვთა უფლებებზე 5-დან 5 რეკომენდაცია, შრომის სტანდარტებზე 4-დან 2 რეკომენდაცია, ენერგეტიკაზე 5-დან 3 რეკომენდაცია.

დღის წესრიგის მომზადების პროცესში აქტიური ჩართულობა გვიცავს რისკისგან, ასოცირების შესახებ შეთანხმების გარკვეული ასპექტები კონკრეტულად იქნას განსაზღვრული და სხვა ასპექტები ზოგადად და ბუნდოვნად, რაც მონიტორინგის დროს ართულებს შეფასებას, რამდენად იქნა დასახული მიზანი მიღწეული.

გასათვალისწინებელია, რომ ევროპის საგარეო ურთიერთობათა სამსახური, ყოველწლიურად, ასოცირების საბჭოს გამართვის წინ, აქვეყნებს ასოცირების შესახებ შეთანხმების შესრულების ანგარიშს და სამოქალაქო საზოგადოებას შეუძლია საქართველოსთან ურთიერთობის ოფიცერს მიაწოდოს შენიშვნები და რეკომენდაციები.

უნდა აღინიშნოს, რომ ამ ეტაპზე ასოცირების შესახებ შეთანხმების საკითხებთან დაკავშირებით არ არსებობს ჩამოყალიბებული ფორმატი, რომლის ფარგლებშიც დაინტერესებულ მხარეებსა და ხელისუფლების წარმომადგნლებს შორის გარკვეული პერიოდულობით გაიმართება შეხვედრები. თუმცა, ზოგადად, ხელისუფლება თანამშრომლობისათვის ღიაა და მნიშვნელოვნად ეყრდნობა არასამთავრობო ორგანიზაციების გამოცდილებას, რათა უკეთ შეასრულოს საერთაშორისო ვალდებულებები. არასამთავრობო ორგანიზაციების ძალისხმევას უფრო მეტი წარმატება მოაქვს, როცა ისინი ახერხებენ გაერთიანებას და საერთო პოზიციის წარმოჩენას იქნება ეს პირისპირ შეხვედრა, თუ განცხადების/პეტიციის მომზადება და შემდეგ სოციალური ქსელებით ან მედიის საშუალებით გავრცელება. წარმატების შანსებს ზრდის საერთაშორისო აქტორების მხარდაჭერაც. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, არასამთავრობო ორგანიზაციებს პროაქტიურად უწევთ ნაბიჯების გადადგმა და ასოცირების დღის წესრიგისა და ეროვნული სამოქმედო გეგმის შესაფასებლად პოლიტიკის დოკუმენტებისა და მონიტორინგის ანგარიშების მომზადება. დოკუმენტების წარდგენა ხდება როგორც ინდივიდუალურ, ისე საჯარო შეხვედრებზე. გასათვალისწინებელია დოკუმენტების ფორმატიც. როგორც წესი, დოკუმენტები არის მოკლე და ნათლად ჩამოყალიბებული.

საკანონმდებლო დონეზე, საქართველოს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი აქტიურად არის ჩართული ასოცირების შეხაებ შეთანხმების შესრულების ზედამხედველობის პროცესში და ამასთან, მჭიდრო თანამშრომლობა აქვს სამოქალაქო სექტორთან. სამოქალაქო სექტორმა უნდა გამოიყენოს ეს შესაძლებლობა და უფრო მეტად იმუშაოს კომიტეტთან. მიუხედავად იმისა, რომ ასოცირების შეთანხმების შესრულების მონიტორინგის საპარლამენტო მექანიზმი სუსტია და საკომიტეტო მოსმენები იშვიათად იმართება, არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა აუცილებლად უნდა მიიღონ მონაწილეობა ასეთ მოსმენებში და გააჟღერონ საკუთარი მოსაზრებები.

ადგილობრივ დონეზე, არასამთავრობო ორგანიზაციებს შეუძლიათ გამოიყენონ ის ფორმატები, რის საშუალებასაც ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი იძლევა, უფრო კონკრეტულად, თავი XI – მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში. გარდა ამისა, კომუნიკაცია აწარმოონ სახელმწიფო რწმუნებულების – გუბერნატორის ევროინტეგრაციის საკითხების კურატორ მოადგილეებთან. ამასთან, საქართველოს რეგიონებში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებს შესაძლებლობა აქვთ, უფრო ინტენსიურად ითანამშრომლონ მაჟორიტარ დეპუტატებთან და მათი ბიუროების წარმომადგენლებთან. შეხვედრები არ უნდა შემოიფარგლებოდეს მხოლოდ ინფორმაციის მოწოდებით და სამოქალაქო სექტორმა უნდა მოახდინოს მონიტორინგი, რამდენადაა მაჟორიტარი დეპუტატის მიერ შესაბამისი უწყებების მიმართ წარდგენილი ინიციატივები რეგიონში არსებული პრობლემების პროპორციული.

კომუნიკაციის მექანიზმები გადაწყვეტილების მიღების პროცესებში ჩართვისთვის

2015 წლის 13 ნოემბერს, საქართველოს მთავრობასა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას შორის თანამშრომლობის შესახებ მემორანდუმი გაფორმდა. მემორანდუმის საფუძველზე მხარეები თანხმდებიან, რომ:

ა) ხელს შეუწყობენ ქვეყნის აღმასრულებელ ხელისუფლებასა და სამოქალაქო საზოგადოებას შორის თანამშრომლობის გაღრმავებას, რაც თავის მხრივ, დააჩქარებს საქართველოს ევროკავშირთან პოლიტიკური ასოცირებისა და ეტაპობრივი ეკონომიკური ინტეგრაციის პროცესს;

ბ) ხელს შეუწყობენ საქართველოს ევროკავშირთან ინტეგრაციის, მათ შორის, ასოცირების შესახებ შეთანხმების განხორციელების სამოქმედო გეგმის შემუშავებისა და მონიტორინგის პროცესში, სამოქალაქო ჩართულობას;

გ) გააღრმავებენ თანამშრომლობას ასოცირების შესახებ შეთანხმების 412-ე და 413-ე მუხლების გათვალისწინებით, შემდეგი მიმართულებებით:

- ყოველწლიური ერთობლივი მაღალი დონის კონფერენციის გამართვა;
- სექტორული თანამშრომლობის ცალკეულ სფეროებზე სამუშაო შეხვედრების გამართვა 6 თვეში ერთხელ;
- საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის მიერ ეროვნული პლატფორმის სახელით წარდგენილი მნიშვნელოვანი წინადადებებისა და პოლიტიკური დოკუმენტების განხილვის უზრუნველყოფა.

2016 წლის იანვარ-ივნისში, საქართველოს მთავრობასა და „აღმოსავლეთ პარტნიორობის“ სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნულ პლატფორმას შორის გაფორმებული თანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში, გაიმართა სამი სექტორული შეხვედრა სოფლის მეურნეობის, გარემოს დაცვისა და განათლების საკითხებზე. აქტიურად მიმდინარეობდა თანამშრომლობა ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“ ექსპერტთა ჯგუფთან, რომელიც პროექტ „საქართველოს ხელისუფლების ანგარიშვალდებულების გაზრდა საქართველო-ევროკავშირის ასოცირების ხელშეკრულების შესრულების მონიტორინგის გზით“ ფარგლებში ახორციელებდა ასოცირების შეთანხმებისა და დღის წესრიგის შერულების მონიტორინგს თემატური მიმართულებით.

სამოქალაქო საზოგადოება, როგორც დამაკავშირებელი ხაზი მთავრობასა და კერძო სექტორს შორის. რა შეიძლება გაკეთდეს ამ კავშირის გასამყარებლად?

ასოცირების შესახებ შეთანხმების პოლიტიკური და ეკონომიკური მიზნები გადამწყვეტი მნიშვნელობისაა საქართველოს დამოუკიდებელ და უსაფრთხო ევროპულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბებისათვის. როგორც უკვე აღინიშნა, შეთანხმების განხორციელება ხელს შეუწყობს ერთი მხრივ, ფუნდამენტური ევროპული ღირებულებების, კერძოდ კი, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დამკვიდრებას, ადამიანის უფლებების დაცვას, ევროპული უსაფრთხოებისა და მართლწესრიგის ნორმების დანერგვასა და მეორე მხრივ, ეკონომიკის მოდერნიზაციას, ევროკავშირთან და მსოფლიოს უმსხვილეს სავაჭრო პარტნიორებთან ვაჭრობის გაფართოებასა და საქართველოში ეკონომიკური რეგულირების საუკეთესო პრაქტიკის დანერგვას.

ამასთან, ევროინტეგრაცია არის მთავრობისა და მოქალაქეების მიერ გაცხადებული საგარეო კურსი, რომელიც უზრუნველყოფს საქართველოს მდგრად განვითარებას. ამ გზაზე წარმატების მისაღწევად აუცილებელია როგორც სამთავრობო, ისე არასამთავრობო და კერძო სექტორების აქტიური ჩართულობა. საქართველომ უნდა გააორმაგოს ძალისხმევა და განახორციელოს ის რეფორმები, რომელთა შესრულების ვალდებულებაც აღებული აქვს, მათ შორის ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების ფარგლებში. ამ მხრივ, როგორც არაერთხელ აღინიშნა სახელმძღვანელოში, გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ევროკავშირისა და საქართველოს ასოცირების განახლებული 2017-2020 წლების დღის წესრიგის განხორცილებას, რომელიც სამოქალაქო საზოგადოებასთან აქტიური კომუნიკაციითა და თანამშრომლობით შემუშავდა. ასოცირების დღის წესრიგის მოკლევადიანი და საშუალოვადიანი პრიორიტეტების დროულად შესრულება უმნიშვნელოვანესი ფაქტორია საქართველოს ევროკავშირის კანონმ-

დებლობასთან ჰარმონიზაციისა და შესაბამისად, ექსპორტის პოტენციალის შესაძლებლობების მაქსიმალურად გამოყენების თვალსაზრისით. ამ მიმართულებით, გარდა საკანონმდებლო და ინსტიტუციური დაახლოებისა, დიდი მნიშვნელობა ენიჭება კერძო სექტორის, მათ შორის, მცირე და საშუალო საწარმოების მიერ DCFTA-ს მოთხოვნების დაკმაყოფილებას.

ბოლოდროინდელი კვლევების მიხედვით, მეწარმეების უმრავლესობას სმენია როგორც ასოცირების ხელშეკრულების, ისე DCFTA-ს შესახებ, თუმცა უმრავლესობა არ არის მზად, პასუხები გასცეს შემდეგ კითხვებს: რა გავლენას მოახდენს DCFTA-თი გამოწვეული ცვლილებები მათ წარმოებაზე და როგორ უნდა მოერგონ ამ ცვლილებებს ნაკლები დანახარჯებით. ამასთან, მთელი რიგი სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და მათი წარმოების პროცესი შესაბამისობაში არ არის ევროკავშირის სურსათის უვნებლობის, ვეტერინარიის და მცენარეთა დაცვის მოთხოვნებთან. DCFTA-ს მოთხოვნების შესაბამისად, საქართველოში უნდა მოხდეს ყველა შესაბამისი დირექტივის დანერგვა და სურსათის უვნებლობის, მცენარეთა დაცვის და ვეტერინარიის სისტემის რეფორმირება. ეს ყველაფერი ხელს შეუწყობს არა მარტო ევროკავშირში ექსპორტის ზრდას, არამედ დაიცავს ადგილობრივ მომხმარებლებსაც.

მცირე და საშუალო ზომის საწარმოებს ნაკლები შესაძლებლობა აქვთ, საკუთარი რესურსით გაერკვნენ ასოცირების შეთანხმების დღის წესრიგში და დანერგონ შესაბამისი ცვლილებები. სამუშაოს სპეციფიკიდან და მოცულობიდან გამომდინარე, სახელმწიფოსთან ერთად, აუცილებელია სამოქალაქო სექტორის გააქტიურება. არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა, განსაკუთრებით კი რეგიონებში მოქმედმა ორგანიზაციებმა, უნდა უზრუნველყონ ინტენსიური კომუნიკაცია და მოახდინონ მეწარმეების დამატებითი სტიმულირება, რათა საკუთარი წარმოება დაგეგმონ DCFTA-ს მოთხოვნების გათვალისწინებით.

სამოქალაქო სექტრის ჩართულობა სამი ძირითადი მიმართულებით არის მნიშვნელოვანი:

- ა) მეწარმეების ცნობიერების ამაღლება საკითხებზე, როგორიცაა: DCFTA-ს ზოგადი მიმოხილვა, ევროკავშირის ბაზრის მიმოხილვა და შესაძლებლობები ქართველი მეწარმეებისთვის, სურსათის უვნებლობა DCFTA-ში, პრაქტიკული საკითხები ევროკავშირის ბაზარზე ექსპორტის შესახებ და ა.შ.;
- ბ) მონაწილეობა მარეგულირებელი გარემოს ფორმირებასა და შესაბამისად, დემოკრატიული და მონაწილეობრივი მმართველობის გაძლიერების ხელშეწყობა და
- გ) მუშაობა რუსული პროპაგანდისა და ევროკავშირ-საქართველოს თანამშრომლობაზე გავრცელებული მცდარი ინფორმაციისა და მითების წინააღმდეგ.

ზემოაღნიშნულის განსახორციელებლად, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებმა, პირველ რიგში, თავად უნდა გაიძლიერონ ცოდნა ასოცირების შესახებ შეთანხმების შესახებ. გარდა ამისა, ისინი კარგად უნდა იცნობდნენ კერძო სექტორის, მათ შორის, მცირე და საშუალო ბიზნესის პრობლემებს, საჭიროებებს და აწარმოებდნენ თანმიმდევრულ კომუნიკაციას ამ თემებზე საჯარო სექტორთან. და ბოლოს, მიუხედავად იმისა, რომ საქართველოში მაღალია ევროკავშირის მხარდამჭერთა რაოდენობა, იმუშაონ იმ მითების დასანგრევად, რაც საზოგადოებაში ასოცირების შეახებ შეთანხმებისა და DCFTA-ს მიმართულებით ვრცელდება.

სამოქალაქო საზოგადოების ჩართვის მექანიზმები ასოცირების ხელშეკრულების და მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის საკითხებში; რა მექანიზმები არსებობს? როგორ გავაუმჯობესოთ ჩართულობა?

2014 წლის 28 ივლისს საქართველოს ევროკავშირში ინტეგრაციის კომისიის მიერ, DCFTA-ს ეფექტიანად განხორციელების მიზნით, დამტკიცებულ იქნა ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცის შესახებ შეთანხმების (DCFTA) განხორციელების 2014-2017 წლების სამოქმედო გეგმა, რომელშიც გაწერილია ამ მიმართულებით განსახორციელებელი რეფორმები და ღონისძიებები. გეგმას თან ახლავს, ყოველწლიური შესრულების ანგარიშები (დოკუმენტები ხელმისაწვდომია http://www.dcfta.gov.ge-ზე). სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლებს შესაძლებლობა აქვთ დეტალურად გაეცნონ ზემოაღნიშნულ დოკუმენტებს და გაანალიზონ მიღწევები და გამოწვევები და ამასთან, მონაწილეობა მიიღონ ახალი სამოქმედო გეგმის მომზადების პროცესში.

სამოქალაქო სექტორი ჩართულია DCFTA-ს განხორციელების მონიტორინგში საკონსულტაციო ჯგუფის მეშვეობით. საკონსულტაციო ჯგუფი მოიცავს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს, არასამთავრობო ორგანიზაციებს და დამსაქმებელთა და დასაქმებულთა გაერთიანებებს. საკონსულტაციო ჯგუფის მიერ განხილულ საკითხებზე ნათელი წარმოდგენის შესაქმნელად, დაინტერესებულ მხარეებს შეუძლიათ, გამოითხოვონ შეხვედრის ოქმები. ვინაიდან აღმოსავლეთის პარტნიორობის სამოქალაქო საზოგადოების ფორუმის საქართველოს ეროვნული პლატფორმა ასევე ჩართულია საკონსულტაციო ჯგუფში, პლატფორმის წევრებს საკითხების ადვოკატირების საშუალება მათი წარმომადგენლის ინფორმირებით შეუძლიათ.

ზოგადად, აღსანიშნავია, რომ ასოცირების ხელშეკრულების და მცირე და საშუალო ბიზნესის პოლიტიკის საკითხებში სამოქალაქო სექტორის ჩართვის მექანიზმები ფრაგმენტული და არათანმიმდევრულია. შესაბამისად, ამ მიმართულებით კონსულტაციების ინსტიტუციონალიზაცია სწორედ სამოქალაქო სექტორის პროაქტიულ აქტივობაზეა დამოკიდებული.

ნაწილი III

მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგია 2016-2020

მცირე და საშუალო ბიზნესი და მისი როლი ეკონომიკაში

მცირე და საშუალო ბიზნესი ევროპის ქვეყნებში

ევროპის ქვეყნებში, მცირე და საშუალო საწარმოები (მსს) ეკონომიკის საყრდენია. ევროკავშირში, ბიზნესის 99 % მცირე და საშუალოა. ბიზნესის ეს სეგმენტი, ქმნის ახალი სამუშაო ადგილების დაახლოებით 85 % და ასაქმებს კერძო სექტორში დასაქმებულთა ორ მესამედს. მიჩნეულია, რომ მსს-ს უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს ეკონომიკურ ზრდაში, ინოვაციებში, სამუშაო ადგილების შექმნასა და სოციალურ ინტეგრაციაში. ევროკავშირის ქვეყნებში მსს ეკონომიკაში დამატებითი ღირებულების შექმნის მნიშვნელოვანი წყაროა, ამ მხრივ უმსხვილესი სექტორებია: წარმოება, ბიზნეს საკონსულტაციო მომსახურება, საცალო და საბითუმო ვაჭრობა, სასტუმროები, რესტორნები და მშენებლობა.

მარტივად რომ ვთქვათ, ევროკავშირის ქვეყნებში ადამიანებს უფრო მეტი შესაძლებლობა აქვთ შექმნილი იმისათვის, რომ საკუთარი ბიზნესი აწარმოონ და სამუშაო ადგილებს პირველ რიგში თავად ეს ადამიანები – მცირე და საშუალო ბიზნესის მფლობელები ქმნიან.

ეს მოცემულობა, სერიოზულ სოციალურ პროგრამებთან ერთად, განაპირობებს იმასაც, რომ ქონებრივი უთანასწორობა ამ ქვეყნებში გაცილებით დაბალია, ვიდრე სხვა ქვეყნებში. ანუ ქვეყნის სიმდიდრე უფრო მეტად არის გადანაწილებული ცალკეულ ადამიანებზე, ვიდრე განვითარებად ან ნაკლებდემოკრატიულ ქვეყნებში.

ამის შესახებ წარმოდგენას იძლევა ე. წ. ჯინის კოეფიციენტი, რომლითაც მოსახლეობის შემოსავლებს შორის უთანასწორობა იზომება. მასში ციფრი 0 აღნიშნავს ყველაზე თანასწორს, 1 (ან 100) კი – უთანასწოროს. მაგალითად, თუ ქვეყანაში, თეორიულად, ცხოვრობს 1.000 ადამიანი და ყველას

ერთნაირი შემოსავალი აქვს, ჯინის კოეფიციენტი იქნება ნული, ხოლო როცა შემოსავალი მხოლოდ ერთს აქვს, კოეფიციენტი ერთი, ანუ 100 %-ია. ბოლო წლების ჯინის კოეფიციენტი აჩვენებს, რომ უთანასწორობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი სკანდაინავიის და ევროპის ქვეყნებშია, ყველაზე მაღალი კი – აფრიკის კონტინენტის ქვეყნებში. საქართველოს მაჩვენებელია 0.39, სხვაგვარად რომ ვთქვათ, მოსახლეობის 21 % მედიანური მოხმარების 60 % ქვევით არის.

მცირე და საშუალო ბიზნესი განვითარებად ქვეყნებში

განვითარებად ქვეყნებში, მცირე და საშუალო ბიზნესის მნიშვნელობა ეკონომიკურ განვითარებაში და სიღარიბის დაძლევაში, სამუშაო ადგილების შექმნაში დიდია. თუმცა, სხვადასხვა დაბრკოლებების და გამოწვევების გამო, ბიზნესის ეს სეგმენტი ვერ ახდენს სრული პოტენციალით განვითარებას.

მაგალითად, საქართველოში, მსს-ს მნიშვნელოვანი წვლილი შეაქვს ეკონომიკაში, რეგისტრირებული კომპანიების 99.7 % მცირე და საშუალოა, მათგან 62.2 % ინდივიდუალური საწარმოა.

ოფიციალური სტატისტიკის თანახმად, ბიზნესის ეს სეგმენტი ასაქმებს კერძო სექტორში დასაქმებულთა 64%-ს, ქმნის დამატებული ღირებულების 58% -ს მთლიანი წარმოების 56%-ს, ხოლო ბინზეს სექტორის ბრუნვის 17 % მოდის მსს-ზე. მსს-ს წვლილი მთლიან შიდა პროდუქტში დაბალი რჩება – ეკონომიკური თანამშრომლობისა და განვითარების ორგანიზაციის მონაცემებით (OECD), ეს მაჩვენებელი 15 %. ეს მიუთითებს, რომ მცირე და საშუალო ბიზნესები კონცენტრირებულია ისეთ დარგებში, რომლებსაც ნაკლებად აქვთ ზრდის, განვითარების და დამატებითი ღირებულების შექმნის პოტენციალი. მსს-ს 70.5% ვაჭრობის სფეროში საქმიანობს (ავტომობილების შეკეთების ჩათვლით). ევროპული გამოცდილებისგან განსხვავებით, ინოვაციასა და ეკონომიკურ ზრდაში მცირე და საშუალო ბიზნესი გადამწყვეტ როლს ვერ თამაშობს.

მაღალია გეოგრაფიული უთანასწორობაც: ბიზნეს წარმოების და აქტივობის 71% თბილისშია კონცენტრირებული, ხოლო დანარჩენი თავმოყრილია 2 რეგიონში – აჭარასა და იმერეთში.

შესაძლებლობები და გამოწვევები, რომელსაც DCFTA მცირე და საშუალო ბიზნესისთვის იძლევა

ასოცირების ხელშეკრულება და ღრმა და ყოვლისმომცველი თავისუფალი სავაჭრო სივრცე (DCFTA), საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესს შესაძლებლობებსაც სთავაზობს და გამოწვე-

ვების წინაშეც აყენებს. ექსპორტის და პირდაპირი უცხოური ინვესტიციების წახალისების გარდა, იგი ინსტიტუციურ და მარეგულირებელ რეფორმასაც დაარჩქარებს, რაც ქვეყნის სტანდარტების ევროკავშირის სტანდარტებთან დაახლოებას დაეხმარება.

DCFTA ასევე შეუწყობს ხელს ეკონომიკის სხვადასხვა ახალი სექტორის გამოუყენებელი პოტენციალის ათვისებას, ახალი სექტორების იდენტიფიცირებას და ტრადიციული სექტორების განვითარებას. ტექნოლოგიებისა და ცოდნის ტრანსფერით, შესაძლებელი გახდება საქართველოში დაარსებული საწარმოების გლობალურ საწარმოო ჯაჭვში სრულფასოვანი ჩართვა/ინტეგრაცია.

რა არის მცირე და საშუალო ბიზნესის სტრატეგია? ვინ ახორციელებს მას? რომელი უწყებები არიან ჩართულნი განხორციელების პროცესში?

კერძო სექტორის განვითარების და განსაკუთრებით კი მცირე და საშუალო მეწარმეობის განვითარების მხარდაჭერა საქართველოს მთავრობის ეკონომიკური პოლიტიკის ერთ-ერთი პრიორიტეტია, რაც სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაში - „საქართველო 2020“. 2016 წელს საქართველოს მთავრობამ დაამტკიცა საქართველოს მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სტრატეგია 2016-2020.

სტრატეგია ეფუძნება ევროპული მცირე ბიზნესის აქტის „უპირველესად იფიქრე მცირეზე“ (Think Small First) პრინციპს, მთავარი მიზანი არის მცირე და საშუალო მეწარმეობის სექტორის კონკურენტუნარიანობის გაძლიერება, რაც შექმნის მნიშვნელოვან საფუძველს ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკური ზრდისთვის. სტრატეგიაში დასახულია მიზნები, რომელთა მიღწევა 2020 წლისთვის უნდა მოხდეს.

დასახული მიზნები შემდეგია: 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოების გამოშვების ზრდა წლიურად, საშუალოდ 10%-ით; 1. 2020 წლისთვის მცირე და საშუალო საწარმოებში დასაქმებულთა ზრდა 15%-ით; 2. 2020 წლისთვის მწარმოებლურობის ზრდა 7%-ით;

საქართველოში მცირე და საშუალო ბიზნესის მიმართულებით პოლიტიკის შემმუშავებელია **საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო**. კონკრეტული ღონისძიებების განხორციელება ხდება მის უწყებაში შემავალი ორი საჯარო სამართლის იურიდიული პირის მეშვეობით: **„აწარმოე საქართველოში“** და **„საქართველოს ტექნოლოგიებისა და ინოვაციების სააგენტო“.**

რა პრიორიტეტული მიმართულებები აქვს სტრატეგიას?

მცირე და საშუალო მეწარმეობის პოლიტიკის სტრატეგიული მიმართულებები საქართველოში მცირე და საშუალო მეწარმეობის გაძლიერებისთვის და ადგილობრივ და საერთაშორისო ბაზრებზე მისი კონკურენტუნარიანობის ამაღლებისთვის განსაზღვრულია შემდეგი სტრატეგიული მიმართულებები:

5 სტრატეგიული მიმართულება

საკანონმდებლო, ინსტიტუციური და სამეწარმეო გარემოს გაუმჯობესება;	**ფინანსებზე ხელმისაწვდომობის გაუმჯობესება;**	**მცირე და საშუალო მეწარმეობის უნარების განვითარება და სამეწარმეო კულტურის ამაღლების ხელშეწყობა;**	**ექსპორტის ხელშეწყობა და მცირე და საშუალო საწარმოთა ინტერნაციონალიზაცია;**	**ინოვაციების, კვლევის და განვითარების ხელშეწყობა**

პრიორიტეტული ღონისძიებები

ბიზნესის დახურვის და გადახდისუუნარობის პროცედურების გაუმჯობესება	ფინანსური განათლების გაუმჯობესება	შრომის ბაზრის საჭიროების იდენტიფიცირება და შესაბამისი დასაქმების პროგრამების განვითარება	DCFTA-ს პერსპექტივების და მოთხოვნების შესახებ ცნობიერების ამაღლება	მცირე და საშუალო საწარმოებში ინოვაციების სტიმულირება
მცირე და საშუალო საწარმოთა განმარტების განახლება	მცირე და საშუალო საწარმოთა ხელშეწყობა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) დანერგვაში	მცირე და საშუალო საწარმოთა ტრენინგების საჭიროებათა შეფასება (Training Needs Aassessment – TNA)	მეწარმეობის მხარდაჭერა DCFTA-ს მოთხოვნებთან ადაპტაციაში	ინოვაციების და R&D დაფინანსების ეფექტიანი სქემების შემუშავება
საწარმოთა სტატისტიკის გაუმჯობესება	მცირე და საშუალო მეწარმეთა ცოდნის ამაღლება ფინანსების გაზრდის (fund raising) საკითხებში	უწყვეტი სამეწარმეო სწავლების დანერგვა განათლების სისტემის ყველა დონეზე	მცირე და საშუალო საწარმოთა ექსპორტის სტიმულირება	ინოვაციების და R&D-ის კომერციალიზაციის მხარდაჭერა
მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდამჭერი ინსტიტუტების გაძლიერება	მცირე და საშუალო მეწარმეობის და დამწყები ბიზნესის დაფინანსებაზე ორიენტირებული კერძო საინვესტიციო და ვენჩურული კაპიტალის ფონდების მოზიდვა	მეწარმეობაზე ორიენტირებული პროფესიული განათლების სისტემის განვითარება	მეწარმეობის მხარდაჭერა საერთაშორისო სავაჭრო ურთიერთობების დამყარებაში	მეწარმეობაში საინფორმაციო და საკომუნიკაციო ტექნოლოგიების (ICT) გამოყენების უნარების გაუმჯობესება

საჯარო და კერძო სექტორს შორის დიალოგის გაძლიერება	მცირე და საშუალო მეწარმეობის მხარდაჭერა კომერციული ბანკებიდან და მიკროსაფინანსო ორგანიზაციებიდან დაფინანსების ზრდისთვის	არაფორმალურ განათლებაზე ხელმისაწვდომობის ზრდა	ბიზნესის პასუხისმგებლიანი ქცევის (RBC) პოპულარიზაცია	ინოვაციებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურის განვითარება (FabLabs; iLabs; TechPark; BroadBand; კომპიუტერიზაცია)
პრიორიტეტული ეკონომიკური კანონმდებლობისთვის რეგულირების გავლენის შეფასების სისტემის (RIA) შექმნა	მცირე და საშუალო საწარმოთა გრანტებით დაფინანსების გაუმჯობესება	მცირე და საშუალო მეწარმეობისთვის ტექნიკური დახმარების უზრუნველყოფა	უცხოელ ინვესტორებსა და მცირე და საშუალო საწარმოებს შორის კავშირების დამყარების მხარდაჭერა (FDI-SMEs linkages)	
		საგანმანათლებლო კომპონენტის განვითარება მეწარმეობის განვითარების სააგენტოს ვებგვერდზე		
		მეწარმეების მომსახურების ცენტრის მომსახურებების პორტფელის გაფართოება		
		ქალთა მეწარმეობის წახალისება		
		მცირე და საშუალო საწარმოებში „მწვანე პრაქტიკის“ წახალისება		

სტრატეგია და სამოქმედო გეგმა განხორციელდება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით. მცირე და საშუალო მეწარმეობის სტრატეგიით დასახული მიზნების მიღწევისთვის მნიშვნელოვანია სტრატეგიით და შესაბამისი სამოქმედო გეგმით განსაზღვრული ღონისძიებების განხორციელების კოორდინაცია და შესრულების მონიტორინგი. დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამ პროცესში კერძო სექტორის და სამოქალაქო საზოგადოების ჩართულობას.

სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების მონიტორინგს ახორციელებს მაღალი დონის საკოორდინაციო ჯგუფი (შექმნილი მინისტრის მოადგილეების/სახელმწიფო უწყებების ხელმძღვანელთა დონეზე), საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის ხელმძღვანელობით. საკოორდინაციო ჯგუფის შეხვედრები წელიწადში ორჯერ იმართება. სტრატეგიის და სამოქმედო გეგმის განხორციელების ექვსთვიანი და წლიური ანგარიშები მზადდება სამუშაო ჯგუფების მიერ და შემდეგ წარედგინება საქართველოს მთავრობას. მონიტორინგის პროცესში დაინტერესებული მხარეების ჩართულობის მიზნით, სამინისტრო ასევე მართავს კერძო-საჯარო დიალოგს 6 თვეში ერთხელ.

რომელი სახელმწიფო პროგრამები არის მიმართული მცირე და საშუალო ბიზნესის მხარდასაჭერად საქართველოში?

მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარების სამთავრობო პროგრამა მიმართულია წარმოების განვითარებისა და წახალისებისაკენ, რომლის მთავარ მიზანს მეწარმეობის განვითარება, მეწარმე-სუბიექტების მხარდაჭერა, ახალი საწარმოების შექმნის/არსებული საწარმოს გაფართოების ან გადაიარაღების ხელშეწყობა წარმოადგენს.

პროგრამა მოიცავს 3 კომპონენტს:

- ფინანსურ რესურსებზე ხელმისაწვდომობა
- უძრავი ქონების უზრუნველყოფა
- საკონსულტაციო მომსახურება

პროგრამას ახორციელებენ:

სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ www.qartuli.ge	**სსიპ სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო** www.apma.ge	**სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო** www.nasp.gov.ge

სააგენტოს „აწარმოე საქართველოში“ მხარდაჭერის მექანიზმები მორგებულია ბიზნესის ნებისმიერი განვითარების დონესა და დაფინანსების საჭიროებაზე[3].

პროგრამა გამიზნულია:

- ახალი ბიზნესის წამოწყებისთვის – სტარტ-აპი
- არსებული ბიზნესის გაფართოება-გადაიარაღებისთვის

ფინანსური მხარდაჭერა:

კომერციულ ბანკებთან მიმართებაში:

- ბანკის მიერ გაცემული სესხის საპროცენტო განაკვეთის თანადაფინანსება არაუმეტეს 10%-ით ლარში გაცემულ სესხებზე 24 თვის განმავლობაში
- უზრუნველყოფის თანადაფინანსება სესხის 50%-ის მოცულობით, სესხის გაცემიდან 48 თვის განმავლობაში (არაუმეტეს 2 500 000 ლარისა)

პროგრამაში ჩართვის პირობები	პროგრამით გათვალისწინებული პრიორიტეტები	პროგრამაში ჩართული პარტნიორი ბანკები
საბოლოო პროდუქტი უნდა შედიოდეს საქართველოს მთავრობის მიერ მოცემული პროგრამის ფარგლებში დამტკიცებულ პრიორიტეტთა ნუსხაში სესხის მოცულობის არანაკლებ 80% უნდა მოხმარდეს ძირითადი საშუალებების შეძენას	1. სამშენებლო მასალები 2. მანქანათმშენებლობა 3. რეზინა და პლასტმასი 4. ქაღალდი და მუყაო 5. საფეიქრო წარმოება 6. ფარმაცევტიკა	TBC BANK CARTU BANK ProCredit Bank terabank CAPITAL BANK HALYK BANK

[3] პროგრამის ფარგლებში, 2017 წლის იანვრიდან, მხოლოდ ეროვნულ ვალუტაში გაცემული სესხები განიხილება

ახალი საწარმოს გახსნის შემთხვევაში უნდა მოხდეს წარმოების დაწყება კრედიტის/ლიზინგის საგნის გაცემიდან 24 თვის განმავლობაში არსებული საწარმოს შემთხვევაში წარმოების დაწყება უნდა მოხდეს კრედიტის/ ლიზინგის საგნის გაცემიდან 12 თვის განმავლობაში სესხის მინიმალური მოცულობა შეადგენს 150 000 ლარს, ხოლო მაქსიმალური 5 000 000 ლარს	7. ხის გადამუშავება 8. ელ. მოწყობილობები 9. საკვები პროდუქტები 10. ლითონის ნაწარმი 11. მინ. წყალი 12. მინ. პროდუქტები 13. ქიმიური წარმოება 14. ბიტუმოვანი პროდუქტები	

სოფლის მეურნეობის მიმართულება
(ახორციელებს სოფლის მეურნეობის პროექტების მართვის სააგენტო)

პირობები:

- სესხის მოცულობა არ უნდა იყოს 1,500,000 ლარზე ნაკლები და არ უნდა აღემატებოდეს 5,000,000 ლარს;
- სესხის მოცულობის არანაკლებ 80% განკუთვნილი უნდა იყოს ძირითადი საშუალებების შესაძენად;

საშეღვათო პერიოდი:

24 თვე – ძირითადი საშუალებებისათვის განკუთვნილ სესხის ნაწილზე;
18 თვე – საბრუნავი საშუალებებისათვის განკუთვნილ სესხის ნაწილზე;

პროგრამაში ჩართვა შესაძლებელია შემდეგი მიზნობრიობით:

1. **პირველადი სასოფლო–სამეურნეო საწარმოების დაფინანსება:**

- ბოსტნეულის, კენკროვანი კულტურების, მწვანილის და სოკოს მაღალტექნოლოგიური სასათბურე მეურნეობა;
- მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის მესაქონლეობის ფერმა (მერძეული–მეხორცული);
- მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის მეღორეობისფერმა;
- მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის მეფრინველეობის ფაბრიკა (მხოლოდ მეხორცული მიმართულების გამოსაზრდელი და სანაშენე დანიშნულების მქონე);
- მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის ძვირფასბეწვიანი ცხოველების ფერმა;
- მაღალტექნოლოგიური და ინტენსიური ტიპის თევზის წარმოება;
- მეფუტკრეობის პროდუქციის წარმოება;
- საჩითილეები და სანერგეები;
- მრავალწლიანი კულტურების ბაღები, ზვრები, პლანტაციები და სხვა.

2. **სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების გადამამუშავებელი საწარმოების დაფინანსება:**

- ხილის, კენკროვნების, ბოსტნეულის, სოკოს, ციტრუსის გადამუშავება;
- კაკლის, თხილის, მიწის თხილის და სხვა კაკლოვნების გადამუშავება;
- მატყლის, ტყავის გადამუშავება;
- დაფნის, ჩაის, თამბაქოს გადამუშავება;
- ხორცის და რძის გადამუშავება.
- მცენარეული ცხიმების (ზეთის, მარგარინის, ერბოს) და ხალვის წარმოება;
- ეთერზეთებისა და სუნელების წარმოება;
- სასაკლაოს მოწყობა;
- მეფუტკრეობის პროდუქციის გადამუშავება;
- სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ცხოველების, ფრინველების და თევზების საკვების წარმოება.

3. **ინფრასტრუქტურული საწარმოების დაფინანსება:**

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი საწყობები;
- მარცვლეულის საშრობები;

- სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შესანახი სამაცივრე მეურნეობები; პროგრამის ფარგლებში სესხი/ლიზინგი არ შეიძლება გაიცეს ყურძნის გადამუშავების შედეგად მიღებული ღვინისა და ალკოჰოლური სასმელების წარმოებისთვის.

ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

უძრავ ქონებაზე ხელმისაწვდომობის კომპონენტის ფარგლებში დაინტერესებულ მეწარმე სუბიექტს სიმბოლურ ფასად, 1 (ერთი) ლარად გადაეცემა სახელმწიფო საკუთრებაში არსებული უძრავი ქონება შემდეგი პირობებით:

- შემოთავაზებული პროფილის საწარმოს შექმნა და წარმოების დაწყება საქართველოს მთავრობის შესაბამისი აქტის გამოცემიდან არაუგვიანეს 2 (ორი) წლისა;
- საწარმოს შექმნისა და წარმოების დაწყების ვალდებულების შესრულების უზრუნველსაყოფად ქ, თბილისში – შესაბამისი უძრავი ქონების საბაზრო ღირებულების არანაკლებ ექვსმაგი, ხოლო საქართველოს სხვა ტერიტორიაზე – არანაკლებ ოთხმაგი ინვესტიციის განხორციელება;
- პროგრამის ბენეფიციარის სტატუსის მოსაპოვებლად, მეწარმე სუბიექტი წარადგენს შესაბამის განაცხადს და საინვესტიციო თანხის 10%-ის ოდენობის უპირობო და გამოუხმობ საბანკო გარანტიას, რომლის ვადა განისაზღვრება 30 (ოცდაათი) თვით;
- სსიპ სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო აღნიშნული პროგრამის ფარგლებში პასუხისმგებელია ფიზიკური ინფრასტრუქტურის გადაცემის კომპონენტზე, რაც გულისხმობს სახელმწიფო მფლობელობაში არსებული უძრავი ქონების უსასყიდლოდ გადაცემას მეწარმისთვის ზემოთ აღნიშნული საინვესტიციო ვალდებულებით;

ერთსა და იმავე უძრავ ქონებაზე რამდენიმე პირის დაინტერესების წარდგენისას, უპირატესობა მიენიჭება იმ მეწარმე სუბიექტს, რომლის მიერაც შესაბამისი განაცხადი და საბანკო გარანტია წარდგენილ იქნა უფრო ადრე.

დამატებითი ინფორმაციისთის იხილეთ ბმული: http://www.nasp.gov.ge/

ტრენინგები და კონსულტაციები

სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ ბიზნეს მომსახურების ცენტრი უზრუნველყოფს შემდეგი სახის მომსახურებას:

- წვდომა ელექტრონულ და ბეჭდურ რესურსებზე; წვდომა ბიზნეს ლიტერატურაზე;
- ხელმისაწვდომობა შეხვედრებისთვის გამოყოფილ სივრცეზე;
- დაინტერესებული მეწარმეებისა და სტუდენტებისათვის ხელმისაწვდომობა სხვადასხვა სახის ლექციასა და სემინარზე;

საინფორმაციო ცენტრის მიერ შემოთავაზებული მომსახურებით ისარგებლებს ნებისმიერი დაინ-ტერესებული პირი

დეტალური ინფორმაციისთვის იხილეთ ბმული: http://enterprisegeorgia.gov.ge

ახალი ბიზნესის წამოწყებისთვის – მიკრო და მცირე ბიზნესის კომპონენტი

პროგრამა გულისხმობს საქართველოს რეგიონებში მიკრო და მცირე მეწარმეობის ხელშეწყობას ფინანსური და ტექნიკური მხარდაჭერის გზით.
პროგრამა ხორციელდება საქართველოს რეგიონებში.

- ახალი ბიზნსის წამოწყებისთვის;
- არსებული ბიზნესის გაფართოება-გადაიარაღებისთვის;
- ონლაინ აპლიკაციის შევსება: http://qartuli.ge/ (განაცხადის ბეჭდური ვერსია არ მიიღება);
- განაცხადის გადარჩევა პროგრამის კომისიის მიერ;
- შერჩეული ბიზნესიდეების ავტორების გადამზადება ბიზნესიდეის ბიზნესგეგმად გარდასაქმნე-ლად;
- ბიზნესგეგმის განაცხადის შევსება ვებგვერდზე http://qartuli.ge (განაცხადის ბეჭდური ვერსია არ მიიღება);
- განაცხადების გადარჩევა პროგრამის კომისიის მიერ;
- საუკეთესო ბიზნესგეგმების გამოვლენა;
- საუკეთესო ბიზნესგეგმების ავტორების მიერ 20%-ის თანამონაწილეობის თანხის დაფარვა;
- საუკეთესო ბიზნესგეგმების ავტორებზე მიკრო გრანტის გაცემა;

ერთი მეწარმე სუბიექტი	თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა	5 000 ლარი
ორი მეწარმე სუბიექტი	თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა	10 000 ლარი
სამი მეწარმე სუბიექტი	თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა	15 000 ლარი

- ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები;

- ბიზნესგეგმების შედგენის ტრენინგი;
- ბიზნესის ადმინისტრირების ტრენინგი;
- არის სრულწლოვანი (18 წელს მიღწეული) საქართველოს მოქალაქე;
- არ არის საჯარო მოხელე;
- არ გააჩნია მიმდინარე ვადაგადაცილებული საგადასახადო ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე;
- კონკურსებში გამარჯვების შემთხვევაში, განახორციელებს მინიმუმ 20% თანხობრივ თანამონაწილეობას; აცხადებს მზაობას ბიზნესგეგმების კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, დარეგისტრირდეს გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირად, რომელსაც მინიჭებული აქვს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, გარდა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა;

არსებული ბიზნესის გაფართოება-გადაიარაღებისთვის – მიკრო და მცირე ბიზნესის კომპონენტი

პროგრამის განხორციელების ეტაპები

დაფინანსების მიღებამდე აუცილებელია მონაწილემ გაიაროს რამდენიმე ეტაპი:

- ონლაინ აპლიკაციის შევსება: http://qartuli.ge/;
- ბიზნესიდეების კონკურსი: მოხდება საუკეთესო ბიზნეს იდეების ავტორების გამოვლენა და მათი დატრენინგება ბიზნესგეგმების წერაში;
- ბიზნესგეგმის შედგენის ტრენინგი: საუკეთესო ბიზნესიდეების ავტორებს ჩაუტარდებათ ბიზნესგეგმის შედგენის ტრენინგი;
- ბიზნესგეგმების კონკურსი: მომზადებული ბიზნესგეგმების კონკურსის შედეგად გამოვლენილი გამარჯვებული მონაწილეები მიიღებენ პროგრამით გათვალისწინებულ თანადაფინანსებას;

დაფინანსების მექანიზმი

დაფინანსების რაოდენობა განისაზღვრება შემდეგი პრინციპით:

ერთი მეწარმე სუბიექტი	თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა	5 000 ლარი
ორი მეწარმე სუბიექტი	თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა	10 000 ლარი
სამი მეწარმე სუბიექტი	თანადაფინანსების მაქსიმალური მოცულობა	15 000 ლარი

საკონსულტაციო მხარდაჭერის მექანიზმი

ყველა ბენეფიციარი გაივლის თანამედროვე სტანდარტების კონსულტაციას

- ინდივიდუალური და ჯგუფური კონსულტაციები;
- ბიზნესგეგმების შედგენის ტრენინგი;
- ბიზნესის ადმინისტრირების ტრენინგი;

პროგრამაში ჩართვის პირობები

პროგრამაში მონაწილეობა შეუძლია ნებისმიერ პირს თუ იგი აკმაყოფილებს შემდეგ მოთხოვნებს:

- არის სრულწლოვანი (18 წელს მიღწეული) საქართველოს მოქალაქე;
- არ არის საჯარო მოხელე;
- არ გააჩნია მიმდინარე ვადაგადაცილებული საგადასახადო ვალდებულება სახელმწიფოს წინაშე კონკურსებში გამარჯვების შემთხვევაში, განახორციელებს მინიმუმ 20% თანხობრივ თანამონაწილეობას; აცხადებს მზაობას ბიზნესგეგმების კონკურსში გამარჯვების შემთხვევაში, დარეგისტრირდეს გადასახადის გადამხდელ ფიზიკურ პირად, რომელსაც მინიჭებული აქვს გადასახადის გადამხდელის საიდენტიფიკაციო ნომერი, გარდა დღგ-ს გადამხდელად რეგისტრირებული ფიზიკური პირისა;

სასტუმრო ინდუსტრიის განვითარება

2016 წლიდან სახელმწიფო პროგრამას „აწარმოე საქართველოში“ ახალი კომპონენტი დაემატა, რომელიც მოსახლეობას შესაძლებლობას აძლევს რეგიონებში განავითაროს სასტუმრო ბიზნესი, შექმნას სამუშაო ადგილები, მოიზიდოს მეტი დამსვენებელი და ხელი შეუწყოს რეგიონის განვითარებას.

ახალი კომპონენტი მეწარმეებისათვის ხელმისაწვდომს ხდის ფინანსებსა და საკონსულტაციო მომსახურებას და ამასთანავე ხდება წარმატებული საერთაშორისო ბრენდების გამოცდილების დანერგვა ე.წ „ფრენჩაიზინგის“ ხელშეკრულებით გათვალისწინებული გადასახადების თანადაფინანსებით.

სესხის თანადაფინანსება საერთაშორისო ბრენდის გამოყენების გარეშე

- სახელმწიფოს მხრიდან სესხის საპროცენტო განაკვეთის 10%-ით თანადაფინანსება ლარში გაცემულ სესხზე, პირველი 2 წლის განმავლობაში;

- სესხის მინიმალური მოცულობა – 200,000 ლარი;
- სესხის მაქსიმალური მოცულობა – 2,000,000 ლარი;
- სესხის უზრუნველყოფაში თანამონაწილეობა პირველი 4 წლის განმავლობაში, სესხის მოცულობის 50%-ით, არაუმეტეს 1,000,000 ლარისა;
- საკონსულტაციო მომსახურების თანადაფინანსება;

სესხის თანადაფინანსება საერთაშორისო ბრენდის გამოყენებით

- სახელმწიფოს მხრიდან სესხის საპროცენტო განაკვეთის 10%-ით თანადაფინანსება ლარში გაცემულ სესხზე, პირველი 2 წლის განმავლობაში;
- სესხის მინიმალური მოცულობა – 200,000 ლარი;
- სესხის მაქსიმალური მოცულობა – 5,000,000 ლარი ;
- სესხის უზრუნველყოფაში თანამონაწილეობა პირველი 4 წლის განმავლობაში, სესხის მოცულობის 50%-ით, არაუმეტეს 2,500,000 ლარისა;
- საკონსულტაციო მომსახურების თანადაფინანსება;

პროექტი ხორციელდება საქართველოს მასშტაბით, თბილისისა და ბათუმის გარდა.

საერთაშორისო ბრენდის გამოყენების ხარჯების ანაზღაურება

- საერთაშორისო ბრენდის გამოყენებისთვის („ფრენჩაიზინგის"/მენეჯმენტ კონტრაქტის) ე.წ Royalty Fees ანაზღაურების დაფინანსება პირველი 2 წლის განმავლობაში, წელიწადში არაუმეტეს 300,000 ლარისა;
- საკონსულტაციო მომსახურების თანადაფინანსება;

ექსპორტის ხელშეწყობა

ექსპორტის ხელშეწყობისათვის სააგენტო ორი მიმართულებით მუშაობს: ექსპორტის განვითარება და ექსპორტის პოპულარიზაცია

ექსპორტის განვითარება

კერძო სექტორის ქმედითუნარიანობის გაზრდა

ექსპორტზე ორიენტირებული კომპანიების თანამშრომლების კვალიფიკაციის ამაღლების მიზნით, სააგენტომ კავკასიის უნივერსიტეტთან ერთად „ექსპორტის მენეჯერის სასერთიფიკატო კურ-

სი“ შეიმუშავა. ერთთვიანი პრაქტიკული კურსი აუმჯობესებს მენეჯერების უნარებს მარკეტინგის, მენეჯმენტის, ლოჯისტიკის, ფინანსების, კვლევის კუთხით, ამასთანავე, ხელმისაწვდომს ხდის ექსპორტის სპეციფიკის, საერთაშორისო შეთანხმებებისა და სხვა ბაზარზე შესვლის სტრატეგიის შესახებ ინფორმაციას.

სააგენტოს მხარდაჭერით, ექსპორტზე ორიენტირებულ ქართულ კომპანიებს შესაძლებლობა მიეცათ გამოიყენონ მსოფლიოში წამყვანი საერთაშორისო კვლევითი ორგანიზაციის “Euromonitor”-ის მონაცემთა ბაზები, რომლის მეშვეობით კომპანიას ხელი მიუწვდება ფასიან ინფორმაციაზე საერთაშორისო ბაზრებზე არსებული სიტუაციის დეტალური აღწერის სახით.

სააგენტოში არსებული სერვის ცენტრის მეშვეობით ექსპორტით დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ მიიღონ შემდეგი სახის ინფორმაცია:

- სასაქონლო კოდების დადგენა;
- ბაზრის კვლევები;
- ტარიფების, იმპორტის რეგულაციების და საჭირო სერტიფიკატების შესახებ;
- ინფორმაციის მიწოდება სამიზნე ბაზარზე;
- ექსპორტის მზაობის ტესტი;
- ექსპორტის ონლაინ კატალოგში რეგისტრაცია;
- იმპორტიორთა სიების მიწოდება კონკრეტული მიზნობრივი ბაზრისთვის;
- საერთაშორისო გამოფენებისა და სავაჭრო მისიების შესახებ ინფორმაციის მიწოდება და რეგისტრაცია;
- საქართველოს სავაჭრო სტატისტიკა;
- ექსპორტის დაფინანსების მექანიზმების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- სააგენტოს ფარგლებში დაგეგმილი საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიწოდება;
- საჭირო სახელმწიფო სტრუქტურებთან თუ კერძო სექტორთან დაკავშირებაში დახმარება;

ექსპორტის პოპულარიზაცია

საერთაშორისო გამოფენების ორგანიზება

სააგენტო ახდენს საერთაშორისო გამოფენებზე ქართული სტენდის განთავსების ორგანიზებას.

სექტორების და გამოფენების არჩევა კომპანიების მხრიდან მოთხოვნის საფუძველზე ხორციელ-დება შიდა და გარე სავაჭრო მისიების ორგანიზება.

სააგენტო ექსპორტზე ორიენტირებული ქართული კომპანიების უცხოელ იმპორტიორებთან შეხ-ვედრების ორგანიზებას ახდენს, როგორც საქართველოს მასშტაბით, ასევე საზღვრებს მიღმა სა-ვაჭრო მისიებზე. კომპანიების რაოდენობა და აქტივობა უმეტესწილად შეუზღუდავია, შეხვედრე-ბის დანიშვნა ხდება ქართული კომპანიების ინტერესებიდან გამომდინარე, B2B ფორმატში.

სავაჭრო პორტალი და საექსპორტო პროდუქციის ონლაინ კატალოგი

ონლაინ კატალოგი, სადაც ქართული კომპანიების პროდუქციაა წარმოდგენილი.

www.tradewithgeorgia.com ვებ-გვერდის „Business Inquiry“ ფუნქციის მეშვეობით კომპანიებს შეეძლებათ ონლაინ განათავსონ საკუთარი წინადადებები და შეთავაზებები.

ქართული პროდუქციის კონკურსებზე გაგზავნის ორგანიზება

ქართული საექსპორტო პროდუქციის პოპულარიზაციის მიზნით, სააგენტო კომპანიებს ხელს შეუწ-ყობს მონაწილეობა მიიღონ საერთაშორისო პროდუქტების კონკურსებში.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს სერვისები

ტექნოპარკი

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სსიპ ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს ერთ-ერთ მთავარ პროექტს ტექნოპარკი წარმოადგენს, რომელიც ორიენტირებულია ინოვაციური იდეების მქონე პირებისათვის ე.წ. „ერთი ფანჯრის“ პრინციპით მომუშავე სივრცის შექმნას.

ტექნოპარკი საქართველო, პრემიერ-მინისტრის ინიციატივით აშენდა, რომელიც 2016 წლის იან-ვარში გაიხსნა. მაღალტექნოლოგიური სივრცე ოქროყანაში 3 ათას $მ^2$ ტერიტორიაზე მოეწყო.

ტექნოპარკი აერთიანებს სხვადასხვა მიმართულებისა და იდეების მქონე ადამიანებს და ხელს უწ-ყობს მათ ტექნოპარკის ინფრასტრუქტურის გამოყენებით, შექმნან ახალი ტიპის, ტექნოლოგიებზე

დაფუძნებული პროდუქტი და სერვისები, რომლებიც კონკურენტუნარიანი იქნება, როგორც ლოკალურ, ასევე გლობალურ ბაზარზე.

2016 წლის 4 ოქტომბერს საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტომ მეორე ტექნოლოგიური პარკი /რეგიონული ინოვაციების ჰაბი გახსნა ქალაქ ზუგდიდში. სააგენტო ტექნოპარკის ბაზაზე სხვადასხვა უფასო მომსახურებას სთავაზობს დაინტერესებულ პირებს. ზუგდიდის ტექნოპარკში ისევე, როგორც თბილისის ტექნოპარკში, წარმოდგენილია სამრეწველო ინოვაციების უნივერსალური ლაბორატორია (ფაბლაბი), სასწავლო ცენტრი, კომპანიებისთვის ერთობლივი სამუშაო ადგილები – co-working სივრცე, საკონფერენციო დარბაზი და სხვა სერვისები, რომლებიც ქმნიან ერთიან ეკოსისტემას ინოვაციებისა და ტექნოლოგიების მიმართულებით და ხელს უწყობენ ინოვაციური იდეებისა და ბიზნესის განვითარებას რეგიონსა და თბილისში.

ზუგდიდის ტექნოპარკის ბაზაზე არსებული ფაბლაბის სერვისები:

ფაბლაბი

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო სტარტაპებს სთავაზობს სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია „ფაბლაბს“.

ფაბლაბი არის უნიკალური სივრცე ნებისმიერი მოქალაქისთვის, რომელსაც აქვს იდეა და სურს მისი პროტოტიპირება. ფაბლაბი ყველას აძლევს საშუალებას უფასოდ ჰქონდეს წვდომა თანამედროვე ტექნოლოგიებზე.

არსებული ფაბლაბები, როგორც თბილისის, ისე რეგიონების მასშტაბით, აღჭურვილია ზუსტად იმ აპარატურული ციკლით, რომლის ანალოგებიც არის მასაჩუსეთის ტექნოლოგიურ უნივერსიტეტში – MIT-ში.

სამრეწველო ინოვაციების ლაბორატორია ულტრა თანამედროვე აპარატურას გვთავაზობს, რომელიც ახდენს ახალი წამოწყებების სრულყოფას და დამწყები ბიზნესმენების პროექტების განვითარებას.

3D პრინტერი – დანადგარი, პოლიმერული მასალისაგან, შეცხელება-შეწებების მეთოდით ქმნის ნებისმიერი სირთულის, 100% - იანი სიზუსტით შესრულებულ ნივთს.

ლაზერული მჭრელი – მოჭრა და გრავირება ხეზე, ტყავზე, ორგანულ მინაზე, მეტალზე, მუყაოსა და სხვა ტიპის მრავალფეროვან მასალაზე. გამოიყენება, როგორც სრულფასოვანი, მუშა, დახვეწილი დიზაინის პროტოტიპების შესაქმნელად, ასევე სხვადასხვა ზომის ნივთების საწარმოებლად.

CNC რუტერი – 3D პროგრამირებადი ჩარხი. მუშაობს ხეზე, ორგანულ მინაზე, მეტალსა და სხვა ტიპის მყარ მასალაზე. რუტერი შესაძლებლობას აძლევს ხელოვნებსა და ინოვატორებს, შექმნან ისეთი ტიპის პროტოტიპები, ისეთი სიზუსტით, რომლის შექმნაც ხელით შეუძლებელია ან სჭირდება ძალიან დიდი დრო. დანადგარი ასევე გამოიყენება ყალიბების დასამზადებლად.

ვაკუუმ ფორმირების აპარატი – ამზადებს ნებისმიერი ტიპის ყალიბს. ინოვატორებს აქვთ შესაძლებლობა განახორციელონ შემდგომი წარმოება უფასოდ აღნიშნული ყალიბის დახმარებით.

პროგრამირებადი საკერავი მანქანა – კომპიუტერში არსებული ნახატის, ან წარწერის სხვადასხვა მატერიალებზე 100%-იანი სიზუსტით გადატანა.

ფაბლაბში ასევე წარმოდგენილია: სასერი პლოტერები, სხვადასხვა ტიპის მყარ ზედაპირზე საბეჭდი დანადგარები, თერმული პრესები, რაც საერთო ჯამში დანარჩენ დანადგარებთან ერთად იძლევა იმის შესაძლებლობას, რომ ფაბლაბში მოსულმა ინოვატორმა შეძლოს ტექნიკურად მუშა ან ვიზუალურად მაღალი დონის, ხარისხიანი პროტოტიპების დამზადება, რომლითაც აქვს შესაძლებლობა მოიპოვოს დამატებითი დაფინანსება და გადავიდეს მასიურ წარმოებაზე.

მისამართი: Tech Park – ქ. ზუგდიდი, ტექნოპარკი,
პრეზიდენტის ზუგდიდის ყოფილი რეზიდენცია.

2017 წელს სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგნტოს მხარდაჭერით დაგეგმილია ინოვაციების ცენტრის გახსნა ზუგდიდის მუნიციპალიტეტის სოფელ რუხში.

რეგიონალური ინოვაციების ჰაბების და ინოვაციების ცენტრების გრძელვადიან მიზანს წარმოადგენს საინფორმაციო ტექნოლოგიებთან წვდომით, დისტანციური სწავლებისა და დასაქმების სისტემების მოსახლეობაში დანერგვის გზით საქართველოს მოსახლეობის კონკურენტუნარიანობის ამაღლება.

- რეგიონული ინოვაციების ჰაბები და ინოვაციების ცენტრები უზრუნველყოფს წვდომას სხვადასხვა ტიპის მაღალტექნოლოგიურ დანადგარებთან ინოვაციური იდეების პროტოტიპირებისათვის;



ბარკი
ბუგდიდი



ხის სათამაშოები – თსუ ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტის ბიზნეს-ადმინისტრირების მიმართულების მეორე კურსის სტუდენტმა საბა ღუდუშაურმა, იურიდიული ფაკულტეტის სტუდენტმა ზურაბ გომიაშვილმა და ეკონომიკის და ბიზნესის ფაკულტეტის კურსდამთავრებულმა სოფო ხიმშიაშვილმა ხის სათამაშოების წარმოება გადაწყვიტეს. ექსპერიმენტი საკმაოდ მალე, დიდი წარმატებით, „სტარტაპ საქართველოს“ პროგრამის მოგებით დასრულდა. ტექნოპარკმა კონკურსი – დაიწყე „ბიზნესი ფაბლაბთან“ ერთად გამოაცხადა, რომელშიც გუნდმა მონაწილეობა მიიღო და საკმაოდ კარგი მონაცემებიც აჩვენა. კონკურსში მონაწილე კომპანიებიდან „თბილისი მოლში“ გამართული ბაზრობისას თავისი პროდუქციის გაყიდვების ყველაზე მაღალი მაჩვენებლები სწორედ მათმა კომპანიამ, „Georgian Factory“-მ აჩვენა. კონკურსში მონაწილე 500 კომპანიიდან 20 შეირჩა, რომელთაგან ერთ-ერთი საბას გუნდიც იყო. მოგვიანებით მეგობრებმა კომპანია „ეიკო დააფუძნეს“ და დღეს ხის სათამაშოების მწარმოებლები არიან.

Holosseum-ჰოლოგრამული მუზეუმი – პროექტის ავტორი 28 წლის ლევან ბახიაა. Holosseum არის ჰოლოგრამული მუზეუმი ქალაქის ტურისტულ ცენტრში სადაც შესაძლებელი იქნება დამთვალიერებლებმა იხილოს საქართველოს სხვადასხვა ტურისტული ღირსშესანიშნაობები ინტერაქტიული და ფოტორეალისტური ჰოლოგრამული მოდელების მეშვეობით. მუზეუმში წარმოდგენილი იქნება ჰოლოგრამული მაკეტები, რომელიც გაფორმებული იქნება სხვადასხვა ანიმაციებითა და აუდიო გახმოვანებებით. დამთვალიერებელს შეუძლია ანიმირებულ ჰოლოგრამულ მაკეტს უყუროს 360 გრადუსიან დიაპაზონში, მიუახლოვდეს მოდელების ცალკეულ ნაწილებს ან მის პერსონაჟებთან შევიდეს ინტერაქციაში. მუზეუმში ასევე განთავსებული იქნება სხვადასხვა ტექნოლოგიური ინსტალაციები, რისი მეშვეობითაც დამთვალიერებელი იმოგზაურებს ქვეყნის სხვადასხვა ადგილებში. მუზეუმში იქნება სხვადასხვა დატვირთვის ოთახები, მათ შესაძლებელი იქნება 360 გრადუსით ნარიყალისა და ძველი თბილისის პროექციის ხილვა, ანიმაციის მეშვეობით გაცოცხლებული თბილისის დაარსების ისტორიას (ნადირობის ეპიზოდი) ნახავ.

მუზეუმში წარმოდგენილი იქნება 20-მდე საქართველოს ისტორიული და გეოგრაფიული ღირსშესანიშნაობებისა და კულტურული მემკვიდრეობების ამსახველი ჰოლოგრამული ექსპონანტები: ჯვარი; ვარძია; უფლისციხე; კაცხისვეტი; შატილი; თუშეთი; სვანეთი; ენგურჰესი და ა.შ ვეფხისტყაოსანი; ფიროსმანის ნამუშევრები; უძველესი ადამიანები, ზეზვა და მზია და ა.შ „სტარტაპ საქართველოს” ინვესტიციაა 100,000 ლარი; პროექტის ჯამური ბიუჯეტი: 226,000 ლარი

ხელოვნური საფრენი აპარატების დრონების საწარმო – კომპანია საწყის ეტაპზე აქცენტს გააკეთებს სპორტული და სამოყვარულო დრონების წარმოებაზე, რომლებიც ძირითადად გათვლილი იქნება საქართველოს ბაზრისთვის, თუმცა ეტაპობრივად გაიზრდება, როგორც წარმოებული დრონების ასორტიმენტი მათი დანიშნულების მიხედვით, ასევე გაყიდვების არეალიც და აქცენტი გაკეთდება საბოლოო პროდუქციის ექსპორტზე. გარდა სერიულისა დაგეგმილია წარმოება სპეც. დაკვეთებით, შოურუმის მოწყობა, აქსესუარების რეალიზაცია, კონსულტაცია და ვებ საიტის აწყობა ინტეგრირებული ონლაინ მაღაზიით.

გუნდის წევრები ამჯეარად გამოცდილი პროფესიონალები არიან – გიორგი ორაგველიძე, განათლება: ESM Business School MBA ხარისხი. 15 წლიანი გამოცდილება ფინანსების და წარმოების სფეროში ტოპ მენეჯერულ პოზიციებზე; ლევან წურწუმია, 20 წლიანი გამოცდილება ვებ პროგრამირების პროდუქტების ციფრული 3D დიზაინ მოდელების შექმნის მიმართულებით; ალექსი ბარამიძე, 20 წლიანი ინჟინრული გამოცდილება, ამჟამად ფლობს მცირე სახელოსნოს სადაც აწარმოებს დრონებს წარმოებას ინდივიდუალური დაკვეთით, დღემდე აწყობილი აქვს 30 მდე სხვადასხვა სახეობის დრონი დამკვეთებისთვის, ამას გარდა ის ახორციელებს სხვადასხვა მოწყობილობებისა მოდიფიცირებასა და სიმძლავრეების მომატებას (ე.წ Tuning) პროექტის სრული ბიუჯეტია 115,000 ლარი, „სტარტაპ საქართველოს“ ინვესტიცია: 100,000 ლარი

- ინფორმაციაზე (სოფლის მეურნეობა, ბიზნესი, დასაქმება, გრანტები და სხვა);
- მოწინავე ცოდნასთან და გამოცდილებასთან ინოვაციების და ახალი ტექნოლოგიების მიმართულებით;
- ელეტრონული კომერციის სისტემასთან.
- დისტანციური დასაქმების პლატფორმებთან
- სსიპ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს სერვისებთან

აგრეთვე უზრუნველყოფს:

- დისტანციური სწავლების შესაძლებლობას
- სერვისებს რეგიონში დამწყები Start-up კომპანიების აღმოსაჩენად და განსავითარებლად;
- ინიციატივების მხარდაჭერას და წახალისებას;
- კავშირს პროექტის განსახორციელებლად საჭირო კადრებთან ან ექსპერტებთან;

ინოვაციების ცენტრის სივრცითი მოწყობა და სერვისები

ინოვაციების ცენტრების სივრცე ოთხ ძირითად კონცეფციას მოიცავს:

- სასწავლო ოთახი
- კომპიუტერების ოთახი
- საერთო სამუშაო სივრცე
- სამუშაო სივრცე (Maker Space)

სასწავლო ოთახი

სივრცე განკუთვნილია სასწავლო პროგრამების დასანერგად და განსახორციელებლად. ტრენინგები და კურსები საშუალოდ 15 ადამიანზე იქნება გათვლილი. სასწავლო ოთახი აღჭურვილი იქნება სწავლებისთვის აუცილებელი ავეჯითა და საპრეზენტაციო ტექნიკით: პროექტორით, სამუშაო დაფითა და კომპიუტერით. სივრცით სარგებლობა შესაძლებელი იქნება დისტანციური სწავლების და ონლაინ გაკვეთილებისთვის, პრეზენტაციებისთვის და შეხვედრებისთვის. სასწავლო ოთახში შესაძლებელი იქნება არა მხოლოდ საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს მიერ დანერგილი სასწავლო პროგრამების გავრცელება, არამედ საზოგადოების მიერ მოთხოვნილი კურსების მოსმენაც.

კომპიუტერების ოთახი

ინოვაციების ცენტრები აღჭურვილი იქნება საშუალოდ 5-6 კომპიუტერით, რომლის გამოყენებაც შესაძლებელი იქნება ნებისმიერი მსურველისთვის. მათი დახმარებით შესაძლებელი იქნება დისტანციურ პლატფორმებთან წვდომა, ინფორმაციის მოძიება და პროექტებზე მუშაობა.

საერთო სამუშაო სივრცე

საერთო სამუშაო სივრცე არის ადგილი საერთო ინტერესების მქონე ადამიანებისთვის, სამუშაო გარემო განკუთვნილია გუნდური მუშაობისთვის და ადამიანებს გამოცდილებისა და ცოდნის უკეთ გაზიარებაში ეხმარება. სივრცე კრეატიულ და ინოვაციურ პროექტებზე მომუშავე ადამიანებისთვის იქნება გათვლილი.

სივრცით სარგებლობის შესაძლებლობა ექნებათ:

- დისტანციურად დასაქმებულ პირებს
- იდეებსა და პროექტებზე მომუშავე გუნდებს

სივრცე აღჭურვილი იქნება გუნდური მუშაობისთვის საჭირო ავეჯით.

სამუშაო სივრცე (Maker Space)

სამუშაო სივრცე განკუთვნილია პირებისთვის, რომელთაც სურთ დანადგარების გამოყენებით პროტოტიპის დამზადება, უახლესი ტექნოლოგიების გაცნობა.

სივრცე საშუალებას მისცემს მომხმარებლებს განავითარონ საკუთარი უნარები რობოტიკისა და მიკროელექტრონიკის მიმართულებით.

აღნიშნული ოთახი აღჭურვილი იქნება შემდეგი დანადგარებით:

- 3D პრინტერი
- Lego Robotics
- Littlebits
- Arduino
- ელექტრონიკის კუთხე (სამაკეტო დაფები, კომპონენტები, ელემენტები, სარჩილავები და ა.შ.)

ტრენინგ-კურსები ინოვაციების ცენტრებში

ტრენინგები სოციალური მედიაში-როგორ მუშაობს ინტერნეტი, რისგან შედგება ვებგვერდი, რა არის HTML, რა არის მასმედია, რა არის სოციალური მედია, ბეჭდვითი მედია სახალხო, ტელევიზია ინტერნეტი, ბლოგის ფუნქციონირების პრინციპები, Facebook – როგორ გავაფართოვოთ ფეისბუქის შესაძლებლობები

- კომპიუტერული პროგრამების ზოგადი კურსი: MS word, MS PowerPoint
- ვიდეო ლექციები, ვიდეო სემინარები თემებზე: ბიზნეს-დაგეგმარება, კულტურა, ხელოვნება, სოციოლოგია, დროის მენეჯმენტი, საჯარო ლექციები, პროგრამირება, სამოქალაქო განათლება
- Lego robotics სასწავლო კურსი- მუშაობის პრინციპების გაცნობა, დაპროგრამება, მოწყობილობის მართვა
- 3D პრინტერის კურსი-მუშაობის პრინციპების გაცნობა, პროტოტიპირების შესწავლა. 3D ბეჭდვა(ინდუსტრიული/სამრეწველო 3D პროტოტიპირება, პროდუქტის საბოლოო ფორმამდე მიყვანა შემდეგები მასალების გამოყენებით – პლასტმასის ტიპის ლაბორატორიული 3D პროტოტიპირება (პროდუქტის პირველადი მატერიალიზაცია ABS/PLA მასალების გამოყენებით)
- მიკროელექტრონიკის კურსი-არდუინოს, Littlebits მოწყობილობების მუშაობის პრინციპების გაცნობა/შესწავლა

ინოვაციების ცენტრში არის ღია სივრცე, სადაც მომხმარებლებს შესაძლებლობა ექნებათ ისარგებლონ:

- საერთო სამუშაო სივრცით (შეხვედრებისთვის, დისკუსიებისთვის, ჯგუფური მუშაობისთვის)
- 3D პრინტერით
- Lego robotics მოწყობილობებით
- არდუინოს მოწყობილობებით
- Littlebits მოწყობილობით
- ცენტრში არსებული კომპიუტერებით (ლეპტოპებით)

მომხმარებლებს გაუწევენ კონსულტაციებს შემდეგი მიმართულებებით:

- შეხვედრების და სხვადასხვა ღონისძიებების დაგეგმვა
- იდეების და პროექტების ჩამოყალიბება
- სხვადასხვა სფეროს შესახებ ინფორმაციის მოძიებაში დახმარების მიღება
- განსახორციელებელი პროექტების მეთოდოლოგიებით უზრუნველყოფა

- მთავრობის მიერ დაგეგმილი პროექტების შესახებ ინფორმაციის მიღება
- სახელმწიფო გრანტებისა და პროგრამების შესახებ ინფორმაციის მიღება

ინოვაციური ბიზნეს პროექტების / „სტარტაპების“ დაფინანსება

სტარტაპ-საქართველო

საქართველოს მთავრობის დადგენილებით, 2016 წლის ივნისიდან, ქვეყანაში ამოქმედდა ვენჩურული საინვესტიციო პროგრამა – „სტარტაპ-საქართველო“, რომელიც მთავრობის 4 პუნქტიანი გეგმის ნაწილია. სახელმწიფო პროგრამამ ფინანსური მხარდაჭერა აღმოუჩინა დამწყები ბიზნესების ინოვაციურ იდეებს, ის სხვადასხვა კომპონენტებს მოიცავს: დაფინანსებას, საგადასახადო და იურიდიული პროცედურების გამარტივებას, ასევე, შესაბამისი განათლების ხელშეწყობას.

პროექტის კოორდინატორები არიან „საპარტნიორო ფონდი“ და „საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო“. სააგენტო დაფინანსებას გასცემს მხოლოდ უნიკალურ მაღალტექნოლოგიურ ინოვაციურ იდეებზე, ხოლო საპარტნიორო ფონდი ინოვაციურ პროექტებზე. მთლიანად პროგრამისთვის პირველ ეტაპზე გამოიყო 11 მილიონი ლარი, რაც შემდეგ 35 მილიონ ლარამდე გაიზარდა.

მაღალტექნოლოგიური პროექტების შემთხვევაში, საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო ერთობლივ საწარმოში პარტნიორად რჩება არაუმეტეს 7 წლის ვადით და არ ერევა სტარტაპის მმართველობაში. ინოვაციურმა და ტექნოლოგიურმა გამარჯვებულმა სტარტაპებმა მიიღეს დაფინანსება პირადი ქონებით უზრუნველყოფისა და გირაოს გარეშე. უზრუნველყოფა შემოიფარგლა მხოლოდ პროექტის ფარგლებში შექმნილი აქტივებით.

საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო უზრუნველყოფს ტრენინგებს, ქოუჩინგს, მენტორინგს და საკონსულტაციო მომსახურებას პროგრამის ყველა ბენეფიციარისთვის.

ვენჩურული საინვესტიციო პროექტი განკუთვნილია მაღალტექნოლოგიური დარგის სტარტაპებისთვის, რომელიც მოიცავს ისეთ სფეროებს, როგორებიცაა: ავიაკოსმოსური წარმოება, ავ-

ტომობილები, ხელოვნური ინტელექტი, ბიოტექნოლოგიები, ბიოინფორმატიკა, კომპიუტერული ინჟინერია, კომპიუტერული მეცნიერება, ინფორმაციული ტექნოლოგიები, ნანოტექნოლოგიები, ბირთვული ფიზიკა, ელექტრომაგნიტური გამოსხივება, რობოტიკა, ნახევარგამტარები და ტელეკომუნიკაცია.

მაღალტექნოლოგიური პროექტები შეაფასეს ვენჩურულმა ინვესტორებმა სილიკონ ველიდან. განსაკუთრებული ყურადღება მიექცა პროექტის ინოვაციურობას, ბიზნეს-მდგრადობას და პერსპექტიულობას. საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტო, ასევე უზრუნველყოფს წარმატებული პროექტების წარდგენას საერთაშორისო ინვესტორებისთვის, დამატებითი ინვესტიციების მოსაპოვებლად სილიკონ ველიში.

სტარტაპ საქართველოს მაღალტექნოლოგიური იდეების მეორე კონკურსი ა.წ. სექტემბერში განახლდება. განაცხადების წარმოება მოხდება ვებგვერდზე:

WWW.STARTUP.GOV.GE

გრანტები 5,000 ლარის ოდენობით:

სააგენტო გასცემს გრანტებს 5,000 ლარის ოდენობით, როგორც ინდივიდებზე, ისე კომპანიებზე შემდეგი მიზნებით:

1. ინოვაციური იდეის პროტოტიპირება
2. სამოგზაურო გრანტი საერთაშორისო ღონისძიებებზე მონაწილეობისათვის

ბიზნეს ინკუბატორი

ინოვაციებისა და ტექნოლოგიების სააგენტოს პროგრამა ბიზნეს ინკუბატორი 2016 წლის თებერვალში ამოქმედდა. გუნდების მიღება 3 ეტაპად მოხდა. პირველ ნაკადი 9 გუნდისგან შედგება, ხოლო მეორე და მესამე 10-10 გუნდისგან.

ბიზნეს ინკუბატორი მიზნად ისახავს მონაწილე გუნდების ხელშეწყობასა და მათი ინოვაციური ბიზნეს იდეების წარმატებულ ბიზნესად განვითარებას. შერჩეული გუნდები 6 თვის განმავლობაში

გადიან ტრენინგებს პროექტის მართვის, მარკეტინგის, ბიზნეს გეგმის ჩამოყალიბების და სხვა მიმართულებებით; კონსულტაციებს ფინანსურ, იურიდიულ, ინტელექტუალური საკუთრების და სხვა საკითხებში; დაგეგმვისა და მართვის ხელშეწყობას, საერთო სამუშაო სივრცეს ტექნოპარკში და სხვა პროგრამულ, ინტელექტუალურ და მატერიალურ ხელშეწყობას სააგენტოსგან, მენტორთა ქსელის წევრებისგან და სააგენტოსთან თანამშრომლობაში მყოფი სხვა ორგანიზაციების, კომპანიების და კერძო პირებისგან.

თითოეული გუნდი ინკუბატორისგან 50, 000 ლარის ექვივალენტ სერვისებს იღებს. თუმცა აღსანიშნავია, რომ ისინი არ იღებენ ფულად ჯილდოს ინკუბატორისგან და ინკუბატორის შემდგომ ისინი მუშაობენ ინვესტიციის მოზიდვაზე, რაშიც სააგენტოც აქტიურად ეხმარება.

WWW.EPRC.GE

სამოქალაქო საზოგადოება – მცირე და საშუალო ბიზნესის და ევროკავშირთან თავისუფალი ვაჭრობის მხარდასაჭერად

DCFTA მცირე და საშუალო ბიზნესისთვის
DCFTA for SMEs

მისამართი:

ფალიაშვილის ქუჩა 85, თბილისი.

ტელ: 0322207305.

ელ. ფოსტა iguruli@eprc.ge

ISBN 978-9941-27-585-2

789941 275852